საქართველოს III პერიოდული ანგარიში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის შესრულების თაობაზე

DRAFT

შესავალი **3**
I. ზოგადი ინფორმაცია **4**
A. პოლიტიკა და კანონმდებლობა 4
B. საზედამხედველო მექანიზმები 7
C. ვალდებულებების დაცვა საერთაშორისო დონეზე 8
D. დამაბრკოლებელი გარემოებები 8
E. სტატისტიკური მონაცემები 9
II. მდგომარეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე **9**
III. კომიტეტის შემაჯამებელი ანგარიშის (E/C.12/1/Add.83) შესრულება **9**
A. ძირითადი საკითხები 9
B. შემოთავაზებები და რეკომენდაციები 10
IV. ანტი-დისკრიმინაციული უფლებები და არსებული რესურსები **15**
მუხლი 1 - თვითგამორკვევის უფლება 15
მუხლი 2 - რესურსების განაწილება 15
მუხლი 3 - გენდერული თანასწორობა 16
მუხლები 4 და 5 - საკანონმდებლო შეზღუდვები 19
V. შრომითი უფლებები **19**
მუხლი 6 - შრომის უფლება 22
მუხლი 7 - სათანადო და ხელსაყრელი შრომითი პირობების უფლება 29
მუხლი 8 - პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაწევრიანების უფლება 32
VI. სხვა სოციალური უფლებები **38**
მუხლი 9 - სოციალურ უსაფრთხოების უფლება 38
მუხლი 10 - ოჯახის დაცვა 44
მუხლი 11 - ადეკვატური საცხოვრებელი პირობები 49
მუხლი 12 - ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტები 52
VII. საგანმანათლებლო და კულტურული უფლებები **57**
მუხლები 13 და 14 - განათლების უფლება 57
მუხლი 15 - კულტურა, მეცნიერება და ინტელექტუალური საკუთრება 65

DRAFT

შესავალი

1. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის შესრულების შესახებ საქართველოს მე-3 პერიოდული ანგარიში მომზადებულია პაქტის მე-16 მუხლის საფუძველზე. საქართველომ პაქტი სავალდებულოდ აღიარა მისი 26-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამსიად, გაეროს გენერალურ მდივანთან შეერთების სიგელის დეპონირებით, რის შემდეგაც დოკუმენტი საქართველოსთვის ძალაში შევიდა 1994 წლის 3 აგვისტოს.

2. წინამდებარე ანგარიშის მიზანია გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტს მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოში პაქტით გათვალისწინებული ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებებისა და პროგრესის შესახებ. ანგარიშში შესული ინფორმაცია ასახავს საქართველოს მე-2 პერიოდული ანგარიშის წარდგენის პერიოდიდან მოყოლებულ მდგომაროებას. ქართულ მხარეს მე-3 პერიოდული ანგარიშის წარდგენა უწევდა 2007 წლის 30 ივნისს.

3. ანგარიშის მომზადებისას ქართულმა მხარემ იხელმძღვანელა გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებებით[1], ჰარმონიზებული სახელმძღვანელო მითითებებითა[2] და საქართველოს მე-2 პერიოდულ ანგარიშის თაობაზე კომიტეტის შემაჯამებელი ანგარიშით[3].

4. ანგარიში შედგება რვა ნაწილისა და დანართებისაგან. პირველი ნაწილი შეიცავს ზოგად ინფორმაციას იმ მექანიზმების, ინსტიტუტებისა და გარემოებების შესახებ, რომლებიც უშუალო კავშირში არიან პაქტში მოცემულ უფლებათა განხორციელებასთან. მეორე ნაწილი ეხება იმ სირთულეებს, რომელსაც საქართველო აწყდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე პაქტით დადგენილი ვალდებულებების განხორციელების მხრივ. ანგარიშის მესამე ნაწილში მოცემულია ინფორმაცია საქართველოს მე-2 პერიოდულ ანგარიშზე კომიტეტის მიერ მიღებული შემაჯამებელი ანგარიშით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. მეოთხედან მერვე ნაწილის ჩათვლით, ანგარიში უშუალოდ ეხება პაქტის მუხლებს და მათში მოცემული უფლებების განხორციელების საკითხს.

5. ანგარიში მომზადდა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა კომპეტენტური უწყების, აგრეთვე სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლების მონაწილეობით, კერძოდ: მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სმინისტრო, განალთებისა და მეცნიერების სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო,

[1] E/C.12/2008/2
[2] HRI/GEN/2/Rev.6
[3] E/C.12/1/Add.83

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო და უზენაესი სასამართლოს აპარატი. პროცესს კოორდინაცია გაუწია საგარეო საქმეთა სამინისტრომ.

6. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში 2016 წელს შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, ანგარიშის პროექტი წარდგენილ იქნა პარლამენტში.[4] ანგარიშის პროექტი განხილულ იქნა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე და წამყვანი კომიტეტების მიერ, რის შედეგადაც დოკუმენტში შეტანილ იქნა შესაბამისი ცვლილებები და დამატებები.

7. გარდა ზემოაღნიშნულისა, ანგარიშის პროექტი გადაეცა სახალხო დამცველს, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს. მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები ანგარიშში შეძლებისდაგვარად არის ასახული.

I. ზოგადი ინფორმაცია

A. პოლიტიკა და კანონმდებლობა

8. იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამართლებრივი მდგომარეობა დარეგულირებულია „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ 2014 წლის 6 თებერვალს მიღებული ახალი კანონით. აღნიშნული აქტით გაუქმდა დევნილთა კომპაქტური და კერძო დასახლების ობიექტის ცნება; მოხდა დევნილის სრულად დაცვა მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართიდან გამოსახლებისგან; დევნილს აღარ უწყდება დევნილის შემწეობის დარიცხვა საქართველოს საზღვრებს გარეთ ორ თვეზე მეტი ვადით გასვლის შემთხვევაში, თუ ეს გასვლა დაკავშირებულია სამსახურებრივ მივლინებასთან, სწავლასთან ან სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობასთან და აღნიშნულის თაობაზე დევნილი წინასწარ აცნობებს სამინისტროს; გამარტივდა დევნილის სტატუსის მინიჭების პროცედურა, კერძოდ გაუქმდა მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებდა მაძიებლის სტატუსის მინიჭებას; განისაზღვრა ოჯახის ცნება, რითაც დაცულია ოჯახის ერთიანობის პატივისცემის უფლება; დევნილი აღიჭურვა ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი უძრავი ქონების რესტიტუციისა და მისი მემკვიდრეობით გადაცემის უფლებით.

9. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს N320 ბრძანებით, დამტკიცდა „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესი“, რომელიც მორგებულია დევნილთა სპეციფიკურ საჭიროებებს. აღნიშნულმა აქტმა განსახლების პროცესთან მიმართებით შექმნა სამართლებრივი ჩარჩო და უზრუნველყო მისი გამჭვირვალეობა.

[4] *საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 24 ივნისის რეგლამენტი №5574 - ვებგვერდი, 05.07.2016წ.*

10. დევნილთა წინაშე არსებული პრობლემებისა და გამოწვევების უფრო ეფექტურად მოგვარების მიზნით, სახელმწიფომ 2007 წელს შეიმუშავა „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია“5. სტრატეგია ეფუძნება ორ უმთავრეს მიზანს: პირობების შექმნა დევნილთა ღირსეულად, უსაფრთხოდ დაბრუნებისათვის და მხარდაჭერის აღმოჩენა იმ დევნილთათვის, რომლებიც სტიქიურად დაბრუნდნენ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე; დევნილი მოსახლეობისთვის ღირსეული ცხოვრების პირობების მხარდაჭერა, მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია. 2009-2012, 2014-2016, 2015-2016 წლებისთვის შემუშავებულ იქნა სტრატეგიის შესრულების სამოქმედო გეგმები. ამჟამად ხორციელდება 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა.

11. ოკუპირებული ტერიტორიების სამინისტრო, თავისი საქმიანობის პროცესში, უზრუნველყოფს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურ ჩართულობას. აღსანიშნავია დონორების მნიშვნელოვანი წვლილი სამინისტროს ბენეფიციართა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაში.

12. ეკომიგრანტები: ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში, 2014 წლის ივნისში შეიქმნა ეკომიგრანტთა დეპარტამენტი.

13. მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანებით, დარეგულირდა საცხოვრებელი სახლების განაწილების წესი და განისაზღვრა ამ მიზნით მიღებულ განაცხადთა შეფასების კრიტერიუმები. ამავე ბრძანებით, შეიქმნა კომისია, რომელიც ახორციელებს საცხოვრებელი სახლების შესყიდვას და მათ განაწილებას მინიჭებული პირველადი სარეიტინგო ქულების მიხედვით. ზემოაღნიშნული აქტი, სტიქიით დაზარალებული ოჯახებისთვის ითვალისწინებს საცხოვრებელი სახლის მოძიების შესაძლებლობას.

14. მნიშვნელოვნად შეიცვალა მიდგომა ეკომიგრანტი ოჯახების განსახლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების კუთხით. კერძოდ, განსახლების შესახებ საბოლოო სიტყვა „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების საკითხების მარეგულირებელ კომისიას“ ეკუთვნის, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობენ, როგორც სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები, ასევე სახალხო დამცველის ოფისი და სხვადასხვა ავტორიტეტული ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები.

15. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სამინისტროს ახალი მიდგომის ფარგლებში შესყიდული საცხოვრებელი სახლი პირდაპირ საკუთრებაში ურეგისტრირდება ეკომიგრანტ ოჯახს.

16. ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები: საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირთა უფლება-მოვალეობათა დარეგულირების მიზნით, პარლამენტის მიერ 2016 წლის 1 დეკემბერს მიღებულ იქნა

---

[5] *დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2007 წლის 2 თებერვლის N47 განკარგულებით.*

საკანონმდებლო პაკეტი. ცვლილებები შევიდა „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში.

17. 2014 წლის 23 დეკემბერს გამოიცა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის ერთობლივი ბრძანება, რომელიც მოიცავს როგორც თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა უფლებების, სახელმწიფო საზღვრის კვეთის პროცედურებისა და არ გაძევების პრინციპის დაცვის, ასევე თავშესაფრის მაძიებელთა იდენტიფიკაციის, სახელმწიფო საზღვარზე მიღების, გადაცემისა და ინფორმაციის გაცვლის სფეროში არსებულ მიმართულებებსა და საკითხებს.

18. სამინისტრომ შეიმუშავა „უცხოელთათვის თავშესაფრის მიცემის შესახებ“ დებულების პროექტი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის #227 ბრძანებულებით დამტკიცდა 2014 წელს. დებულება ითვალისწინებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავშესაფრის მიცემას იმ უცხოელთათვის, რომლებიც თავშესაფრის მოთხოვნის მომენტისათვის არ იმყოფებიან საქართველოში და მათი მოქალაქეობის ან ადგილსამყოფელ ქვეყანაში იდევნებიან რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულებების გამო. დოკუმენტით განსაზღვრულია უცხოელთათვის თავშესაფრის მიცემის შესახებ განცხადების მიღების, განხილვისა და მათთვის თავშესაფრის მიცემის, შეწყვეტის ან გაუქმების წესი, მათი უფლებები და მოვალეობები.

19. დაბრუნებული მიგრანტები: საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა და სწორედ ამიტომ 2015 წლიდან სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდასაჭერად სახელმწიფო ბიუჯეტიდან, შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების განსახორციელებლად, თანხა გამოიყოფა. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ საქართველოს მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები (საქართველოში მუდმივად ცხოვრების ნებართვით), რომლებიც:

- საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ ერთ წელზე მეტი ვადით არალეგალურად, ან საზღვარგარეთ ჰქონდათ განაცხადი თავშესაფრის მიღებაზე, ან სარგებლობდნენ ჰუმანიტარული სტატუსით;
- სამშობლოში დაბრუნებიდან 1 წლის განმავლობაში დარეგისტრირდებიან „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის მიზნით.

რეინტეგრაციის პროგრამა, მოიცავს 6 საგრანტო მიმართულებას და მისი დამტკიცება ხდება მინისტრის ბრძანებით.

20. გენდერული თანასწორობა: 2016 წლის 21 ოქტომბერს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის N2953 ბრძანებით დამტკიცდა სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგია. სტრატეგიის განსახორციელებლად შემუშავდა სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებშიც გენდერული თანასწორობისკენ მიმართული არაერთი ღონისძიება ხორციელდება.

B. საზედამხედველო მექანიზმები

21. „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის“ განხორციელების სამოქმედო გეგმის მიმდინარეობის პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის, მთავრობის განკარგულებით შექმნილია სამეთვალყურეო საბჭო (შემდგომში - საბჭო), რომლის უფლებამოსილების განახლება ხდება ახალი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შედეგად. საბჭოს მიზანია განახორციელოს საერთო კოორდინაცია, კერძოდ, დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, დევნილთა საცხოვრებელი პირობების გრძელვადიანი გადაწყვეტა, სახელმწიფოზე დევნილთა დამოკიდებულების შემცირება, დაუცველი დევნილების სახელმწიფო სოციალურ პროგრამებში ინტეგრირება.

22. საბჭო თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს გამჭვირვალობის, სამართლიანობის და დემოკრატიულობის პრინციპებით. სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებთან ერთად საბჭოს წევრები არიან და სხდომებს ესწრებიან საერთაშორისო და ადგილობრივი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

23. საბჭოს ფუნქციებია: სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობა; სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით მთავრობისა და შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისთვის წინადადებებისა და დასკვნების მომზადება; სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების უწყებათაშორისი კოორდინაციის ხელშეწყობა; სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, მონაცემების, რჩევებისა და ექსპერტიზის საფუძველზე, კონკრეტული და დროში გაწერილი გადაწყვეტილებების მიღება; სამოქმედო გეგმის განხორციელების გეგმების განხილვა და პრიორიტეტული მიმართულებების ჩამოყალიბება; სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით საინფორმაციო კამპანიის განხორციელების გეგმის დამტკიცება, დევნილთა ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით; დევნილთა რეგისტრაციის მეთოდოლოგიის, სამუშაოს აღწერილობისა და მუშაობის განრიგის შემუშავება და დამტკიცება; სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით სხვადასხვა სპეციფიკურ საკითხებზე პროცედურებისა და პრინციპების შემუშავება და დამტკიცება.

24. საბჭო უფლებამოსილია: კონკრეტული საკითხების აქტუალურობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, შექმნას თემატური სამუშაო ჯგუფები და დაავალოს მათ სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის სტანდარტების, კრიტერიუმებისა და სამართლებრივი საკითხების შემუშავება; უზრუნველყოს

DRAFT

მიღებული გადაწყვეტილებებისა და შემუშავებული რეკომენდაციების მიწოდება პრემიერ-მინისტრის, მთავრობის წევრებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისათვის; საჭიროების შემთხვევაში მოამზადოს წინადადებები და რეკომენდაციები სამოქმედო გეგმის ცვლილებებთან დაკავშირებით; მოიწვიოს სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები სპეციფიკური საკითხების განსახილველად.

25. თავის საქმიანობაში ოკუპირებული ტერიტორიების სამინისტრო ითვალისწინებს სახალხო დამცველის, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საზედამხედველო, კონსტიტუციური ინსტიტუტის, რეკომენდაციებს.

26. გარდა ამისა, შეიქმნა იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის უწყებათაშორისი კომიტეტი (შემდგომში – კომიტეტი), რომელიც არის მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის № 2721 განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის“ განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო. კომიტეტის მიზანია მართოს სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესი.

27. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში ჩართული არიან სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები და მათი მოსაზრებების გათვალისწინება ხდება გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

28. დაბრუნებული მიგრანტები: „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ საგრანტო პროგრამის ფარგლებში გრანტების ბენეფიციარებისთვის განაწილება ხდება კონკურსის წესით შერჩეული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. ოკუპირებული ტერიტორიების სამინისტრო ახორციელებს მონიტორინგს პროგრამის განხორციელებაზე.

C. <u>ვალდებულებების დაცვა საერთაშორისო დონეზე</u>

D. <u>დამაბრკოლებელი გარემოებები</u>

29. ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომლის წინაშეც საქართველო დგას, არის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტა და დევნილთა საკუთარ საცხოვრებლებში უსაფრთხოდ დაბრუნება. მდგომარეობის სირთულიდან გამომდინარე, კონფლიქტების გადაწყვეტა ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება. ასეთ პირობებში, მთავრობისთვის მთავარ პრობლემად რჩება ბენეფიციართა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა და ცხოვრების ადეკვატური პირობების შექმნა.

30. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრო ყოველწლიურად ათასობით ბენეფიციარს გადასცემს ბინებს, დევნილთა და ეკომიგრანტთა გრძელვადიანი განსახლების პრობლემა კვლავ მწვავედ დგას. ფინანსური რესურსების არასაკმარისი რაოდენობის გამო, მხოლოდ უკიდურესად გაჭირვებული

დევნილების დაკმაყოფილება ხდება გრძელვადიანი განსახლებით. განსახლების არსებული ტემპით პრობლემის გადაჭრას დასჭირდება ათეულობით წლები.

31. გარდა განსახლებისა, მნიშვნელოვანია სამინისტროს ბენეფიციართა სრულყოფილი სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია, რაც გულისხმობს მათ დასაქმებასა და დამოუკიდებელი შემოსავლის წყაროს შექმნას, რათა ბენეფიციარებით დამოკიდებულნი არ იყვნენ სახელმწიფოს დახმარებაზე.

32. მოწყვლადი დევნილების გრძელვადიანი განსახლების უფრო სწრაფად წარმართვისთვის, დევნილებისა და ეკომიგრანტების პრობლემების მოგვარებისთვის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, მიმდინარეობს სათანადო ფინანსური რესურსების მოძიების პროცესი, თუმცა საქართველოს ძალიან გაუჭირდება პრობლემების საბოლოოდ გადაწყვეტა, განსაკუთრებით ბოლო წლებში დონორების დახმარების მკვეთრად შემცირების ფონზე.

33. საქართველოს გეოპოლიტიკური მგდომარეობიდან გამომდინარე, მიგრაციული პროცესების მართვის თვალსაზრისით, სახელმწიფო მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, რისთვისაც მას ესაჭიროება მაღალკვალიფიციური კადრები და შესაბამისი მატერიალური რესურსები.

E. <u>სტატისტიკური მონაცემები</u>

34. დევნილები: 2017 წლის მდგომარეობით ოკუპირებული ტერიტორიების სამინისტროს ბაზაში რეგისტრირებულია 275,676 დევნილი.

35. დევნილთა ხელახალი რეგისტრაცია განხორციელდა მთავრობის N794 განკარგულების საფუძველზე, 2013 წლის 1 აგვისტოდან - 27 დეკემბრამდე. დევნილთა რეგისტრაციის პროცესი გაგრძელდა 2014 წლის 1 ივნისამდე. უნდა აღინიშნოს, რომ დევნილებისთვის რეგისტრაცია არ არის სავალდებულო და ამის გამო, დევნილთა ფაქტობრივი რაოდენობა უფრო მეტია.

36. დევნილების დაახლოებით 90% არის აფხაზეთიდან, ხოლო დანარჩენი ცხინვალის რეგიონიდან. დევნილთა დაახლოებით 90%-ის იძულებით გადაადგილება მოხდა 90-იან წლებში. დევნილთა დანარჩენი ნაწილის იძულებით გადაადგილება განხორციელდა 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად.

37. დევნილის სტატუსი გადაეცემა მემკვიდრეობით, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ერთ მშობელს აქვს დევნილის სტატუსი.

II. მდგომარეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე

III. კომიტეტის შემაჯამებელი ანგარიშის (E/C.12/1/Add.83) შესრულება

A. <u>ძირითადი საკითხები</u>

38. სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (შემდგომში – ფონდი) შეიქმნა 2006 წელს, "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის, დახმარების და რეაბილიტაციის მიზნით. ფონდი შექმნილია სახელმწიფო ქონების საფუძველზე და მის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

39. 2009 წლიდან ფონდის საქმიანობას დაემატება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება და ინტერესების დაცვა.

40. 2013 წლის 1 იანვრიდან, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს რეორგანიზაციის (ფონდთან მიერთება) შემდეგ, ფონდის ფუნქციები და უფლებამოსილებები კიდევ უფრო გამრვალფეროვნდა. კერძოდ, დაემატა:

- ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობების შექმნა, სადღეღამისო მომსახურების ფარგლებში მოვლა-პატრონობა, კვება, პირველადი სამედიცინო მომსახურება, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარება/ორგანიზება;
- სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა რეაბილიტაცია და დახმარება.

41. „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2011 წლის 11 მაისის კონვენციის რატიფიკაციასთან დაკავშირებით, რაც ითვალისწინებდა კონვენციის დებულებებთან ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციას, 2017 წლის გაზაფხულზე მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები, მათ შორის ცვლილებები შევიდა „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონშიც. კერძოდ: გაფართოვდა კანონის მოქმედების სფერო და დღეის მდგომარეობით იგი მოიცავს არამარტო ოჯახის ფარგლებს, არამედ, ზოგადად, ქალის მიმართ გამოვლენილ ძალადობასაც. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე ფონდის დებულებაშიც (დამტკიცებული 2014 წლის 13 თებერვლის #146 დადგენილებით) შევიდა ცვლილებები და დაემატა ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კომპონენტი. ფონდის ფარგლებში მოქმედი თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრის შინაგანაწესებში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები.

B. <u>შემოთავაზებები და რეკომენდაციები</u>

42. 2017 წლის ივლისიდან ფონდი მომსახურებას უწევს: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლებს/დაზარალებულებს, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს/დაზარალებულებს, სექსუალური

ხასიათის ძალადობის მსხვერპლებს/დაზარალებულებს და მსხვერპლზე/დაზარალებულზე დამოკიდებულ პირებს.

43. ფონდი მსხვერპლებს/დაზარალებულებს (მასზე დამოკიდებული პირებთან ერთად) უზრუნველყოფს შემდეგი მომსახურებებით:

- ფსიქოლოგიურ–სოციალური რეაბილიტაციით/დახმარებით;
- სამედიცინო მომსახურების ორგანიზებით/მიღებით;
- სამართლებრივი მომსახურებით (მათ შორის სასამართლო და სამართალდამცავ ორგანოებში წარმომდგენლობით);
- თავშესაფრის ან კრიზისული ცენტრის მომსახურებით;
- საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურებით;
- საჭიროების შემთხვევაში, სხვა მომსახურებით.

44. ფონდის ფარგლებში ფუნქციონირებს 5 თავშესაფარი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის (თბილისი, გორი, ქუთაისი, სიღნაღი, ბათუმი) და ერთი კრიზისული ცენტრი (გაიხსნა 2016 წლის სექტემბერში) თბილისში.

ფონდის თავშესაფრით და მის ბაზაზე არსებული მომსახურებებით მოსარგებლე ბენეფიციართა (ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/დაზარალებული) 2010-2012 წწ. სტატისტიკური მონაცემები

სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვეროლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების ფონდის თავშესაფრით და მის ბაზაზე არსებული მომსახურებებით მოსარგებლე ბენეფიციართა (ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/დაზარალებული)

2010 წლის სტატისტიკური მონაცემები

ფსიქოლოგიური დახმარება	სამედიცინო დახმარება	იურიდიული დახმარება	საცხოვრისი (24 საათიანი ზრუნვა)		
17	16	9	ზრდასრული მსხვერპლი	არასრულწლოვანი მსხვერპლი	დამოკიდებული პირი
17	16	9	18	4	20

სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვეროლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების ფონდის თავშესაფრით და მის ბაზაზე არსებული მომსახურებებით მოსარგებლე ბენეფიციართა (ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/დაზარალებული)

2011 წლის სტატისტიკური მონაცემები

ფსიქოლოგიური დახმარება	სამედიცინო დახმარება	იურიდიული დახმარება	საცხოვრისი (24 საათიანი ზრუნვა)		
65	37	16	ზრდასრული მსხვერპლი	არასრულწლოვანი მსხვერპლი	დამოკიდებული პირი
65	37	16	36	1	52

სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვეროლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების ფონდის თავშესაფრით და მის ბაზაზე არსებული მომსახურებებით მოსარგებლე ბენეფიციართა (ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/დაზარალებული)

DRAFT

2012 წლის სტატისტიკური მონაცემები

ფსიქოლოგიური დახმარება	სამედიცინო დახმარება	იურიდიული დახმარება	საცხოვრისი (24 საათიანი ზრუნვა)		
30	35	21	ზრდასრული მსხვერპლი	არასრულწლოვანი მსხვერპლი	დამოკიდებული პირი
30	35	21	37	2	49

რაც შეეხება ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურებებს, ფონდის ბაზაზე ფუნქციონირებს ორი თავშესაფარი: ერთი ბათუმში (გაიხსნა 2006 წელს) და მეორე თბილისში (გაიხსნა 2007 წელს).

ფონდის მომსახურებებით მოსარგებლე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა 2006-2012 წწ. სტატისტიკური მონაცემები

სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვეროლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების ფონდის მომსახურებებით მოსარგებლე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა სტატისტიკური მონაცემები წლების მიხედვით

წელი	თავშესაფარი	იურიდიული დახმარება	ფსიქოლოგის დახმარება	სამედიცინო დახმარება	კომპენსაცია
2006	3	3	3	2	0
2007	11	5	3	5	2
2008	8	5	1	1	5
2009	10	4	3	4	0
2010	10	12	2	3	2
2011	8	3	3	3	6
2012	13	4	3	6	6

45. 2017 წლის თებერვლიდან ფონდის ფარგლებში მოქმედ ცხელ ხაზზე - 116006 - კონსულტაციის მიღება შესაძლებელია ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და სექსუალური ძალადობის საკითხებზე. ხოლო პირველი მარტიდან ცხელი ხაზის ხელმისაწვდომობა, ქართული ენის გარდა, უზრუნველყოფილია დამატებით 7 უცხოურ ენაზე (ინგლისურ, რუსულ, თურქულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, არაბულ და სპარსულ ენებზე).

46. ფონდი ყოველწლიურად (წელიწადში მინიმუმ 2-ჯერ) ახორციელებს თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრის თანამშრომლების გადამზადებას. 2017 წელს თანამშრომლების ჩაუტარდათ ტრენინგები ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და სექსუალური ძალადობის საკითხებზე (მათ შორის გაეცნენ ახალ საკანონმდებლო ცვლილებებს).

DRAFT

- ***ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების პრობლემა, რაც იწვევს ბავშვების სხვადასხვა ფორმით ექსპლუატაციას, მათ შორის პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის სფეროებში. ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვთა დაცვის მიზნით საგანგებო და ეფექტიანი ღონისძიებების გატარება, რაც დაიცავს მათ ექსპლუატაციის ყველა ფორმისგან.***

47. 2014 წლის 14 აპრილს, საქართველოს მთავრობის 291 დადგენილების ფარგლებში, ამოქმედდა "მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა", რომელიც სრულად მოიცავს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მომსახურებას. 2014 წლიდან მიმდინარეობდა პროგრამის კონცეფციების შემუშავება და სრულყოფა. ამ ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფი არის ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ და/ან მუშაობენ ქუჩაში. ქვეპროგრამის ამოცანაა მიუსაფარ ბავშვთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია და ინტეგრაცია.

48. 2017 წლის ივლისის მონაცემებით ფუნქციონირებს 6 დღის ცენტრი (ქუთაისი -1, თბილისი-4, რუსთავი -1) და 6 სადღეღამისო თავშესაფარი (თბილისი - 4, ქუთაისი -1, რუსთავი -1), 4 მობილური ჯგუფი (ქუთაისი, თბილისი, მათ შორის: უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, World Vision International-ის ფილიალი საქართველოში – 3 მობილური ჯგუფი; ა(ა)იპ – საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი – 1 მობილური ჯგუფი).

2014-2017 წლის ივლისის მონაცემებით მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის მობილური ჯგუფის ფარგლებში, თბილისის და ქუთაისის მასშტაბით კონტაქტი დამყარდა 908 ბავშვთან;

2017 წლის ივლისის მონაცემებით მომსახურებებით სარგებლობს 215;

2017 წლის ივლისის მონაცემებით სადღეღამისო მომსახურებებით სარგებლობს-69;

2017 წლის ივლისის მონაცემებით დღის ცენტრების მომსახურებით სარგებლობს-146 ბავშვი;

მშობლის უფლება შეეზღუდა -2 პირს(2016,2017).

2014-2017 წლებში მინდობითი აღზრდაში განთავსდა 22 ბენეფიციარი; მცირე საოჯახო ტიპის სახლში -18; 2014-2017 წლებში ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნდა - 18 ბავშვი.

კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების ქვეპროგრამაში ჩაერთო - 39 ბენეფიციარის ოჯახი (2015-2016).

მობილური ჯგუფის დახმარებით დოკუმენტაცია მოუწესრიგდა - 110 ბავშვს და მათ 2 ოჯახის წევრს. ფორმალურ განათლებაში ჩაერთო (სკოლაში ჩაირიცხა) - 73 ბენეფიციარი; 7 ბავშვს დაუმზადდა დროებითი საიდენტიფიკაციო დოკუმენტაცია.

2010 წელს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის ხელშეწყობის მიზნით, 2010 წლის 31 მაისს 3 მინისტრის (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, საქართველოს შინაგან საქმეთა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების)

ბრძანებით დამტკიცდა ,,ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები''.

49. ბავშვთა დაცვის სისტემის გაძლიერების მიზნით და არსებული პრობლემების გათვალისწინებით, ძალადობასთან ბრძოლის სფეროში მომუშავე საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურები, გაეროს ბავშვთა ფონდის და ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების ერთობლივი მუშაობის შედეგად, შეიქმნა რეფერირების პროცედურების განახლებული ვერსია, რომელშიც გათვალისწინებული იქნა ყველა ის ხარვეზი, რამაც თავი იჩინა გავლილი პერიოდის განმავლობაში, დაიხვეწა საკანონმდებლო ბაზა. 2016 წლის 12 სექტემბერს საქართველოს მთავრობის N437 დადგენილებით დამტკიცდა ,,ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები'' და გაიწერა სააგენტოს ინსტრუქცია, რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ბავშვთა ძალადობისგან დაცვის მიმართულებით.

50. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებით გაწერილი ვალდებულებების განხორციელებისა და რეფერირების პროცედურების უზრუნველსაყოფად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში ამუშავდა ცხელი ხაზი, სააგენტომ გაწერა სამოქმედო ინსტრუქცია, სააგენტოს ვებ–გვერდზე დაინტერესებულ ორგანიზაციებისა და ფიზიკურ პირებისთვის საკონტაქტო ინფორმაციასთან ერთად, განთავსდა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების ბრძანებით დამტკიცებული მიმართვიანობის ფორმები.

51. 2015 წლის სექტემბრის თვიდან სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში ფუნქციონირებს ბავშვთა და ოჯახში ძალადობის ადმინისტრირების სამმართველო. აღნიშნული სამმართველოს თანამშრომლები არიან როგორც ბავშვთა, ისე ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირები.

52. საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, 2016 წელს შემუშავებულ იქნა ,,ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის" ეროვნული რეფერალური მექანიზმის პროექტი, რომლის დამტკიცება მთავრობის დადგენილებით არ მომხდარა. ვინაიდან, 2017 წლის 4 მაისს მოხდა სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება, მასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ცვლილებები უნდა შევიდეს ,,ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა'' საქართველოს კანონში. ამის შემდეგ მოხდება ცვლილებების ასახვა ეროვნულ რეფერალურ მექანიზმში, გაიწერება ინსტრუქცია და გადამზადდებიან სოციალური მუშაკები.

DRAFT

IV. ანტი-დისკრიმინაციული უფლებები და არსებული რესურსები

მუხლი 1 - თვითგამორკვევის უფლება

53. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ქვეყანაში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი, რომელიც თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით. საქართველოში, სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.

54. კონსტიტუციით გარანტირებულია თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა უფლება, ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეები მოაწესრიგონ ადგილობრივი თვიმმართველობის მეშვეობით. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს აქვთ ვალდებულება ხელი შეუწყონ ადგილობრივი თვიმმართველობის განვითარებას.

55. აფხაზეთის, საქართველო და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის, საქართველო სამხედრო ოკუპაციიდან გამომდინარე, საქართველოს მოქალაქეები მოკლებულნი არიან აღნიშნულ ტერიტორიებზე თავიანთი კონსტიტუციური უფლებების განხორციელების შესაძლებლობას.

მუხლი 2 - რესურსების განაწილება

56. დევნილები: დონორების უდიდესი ძალისხმევით მოხდა დევნილთა ჰუმანიტარული პროგრამების ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფა, ასევე სათანადო დაგეგმვა და განხორციელება. სახელმწიფო სტრატეგიის შესასრულებლად დონორებმა განახორციელეს ასობით მილიონი დოლარის დახმარება, რაც გადამწყვეტი იყო დევნილთა საჭიროებების სათანადოდ, სრულყოფილად და მდგრადად მოსაგვარებლად.

57. მთავრობასთან თანამშრომლობითა და დევნილთა სამინისტროს ხელმძღვანელობით, სტრატეგიული დოკუმენტების შესაბამისად, დონორები ჩართულნი არიან პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში. დევნილთა სამინისტროსა და ზოგადად საქართველოს მთავრობასთან სტრატეგიების შემუშავება და შეთანხმება ხდება სამეთვალყურეო საბჭოს მეშვეობით, რათა მოხდეს სამოქმედო გეგმის ოპტიმიზაცია და განხორციელება.

58. სხვადასხვა ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში, დონორებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სამინისტროს გამართულ ფუნქციონირებაში, რაც შესაბამისად აისახება სამინისტროს მიერ ბენეფიციარებისთვის შეთავაზებული სერვისების ხარისხში.

59. ახლად შექმნილი ადგილობრივი და თემებზე დაფუძნებული ორგანიზაციების გაძლიერების მიზნით, დონორებმა დააფინანსეს მცირე ზომის აქტივობები ქვე-გრანტების გამოყოფის გზით.

60. ეკომიგრანტები: 2013 წლიდან დაიწყო სახსრების ინტენსიური მობილიზება ეკომიგრანტი ოჯახების განსასახლებლად. 2013-2014 წლებში, ჯამში, გამოიყო

1,320,000 ლარი, 2015 წელს, ამ ციფრმა შეადგინა 1,800,000 ლარი, ხოლო 2016 წელს 2,250,000 ლარი.

61. გარდა საბიუჯეტო სახსრებისა, „შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსთან“ ოკუპირებული ტერიტორიების სამინისტროს მჭიდრო და ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად, საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, გამოიყო 550,000 შვეიცარიული ფრანკი, რომლითაც, 53 ეკომიგრანტმა ოჯახმა მიიღო ახალი საცხოვრებელი სახლი.

62. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს, პირველად ევროკავშირის დაფინანსებით დაიწყო პროექტი „ეკომიგრანტი და პოტენციური ეკომიგრანტი ოჯახების ადვოკატირების კამპანია“, რომელსაც ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიის ინსტიტუტი“. პროექტის მიზანია, ეკომიგრანტებისა და პოტენციური ეკომიგრანტი ოჯახების სამართლებრივი და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში, სამინისტროსთან ერთად, დაგეგმილია სამუშაო შეხვედრები, როგორც „დაზარალების“ ასევე „განსახლების“ მუნიციპალიტეტებში.

63. 2016 წელს, სამინისტროსთან პარტნიორობით, ევროკავშირის დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა)“ ახორციელებდა სარეინტეგრაციო პროგრამებს კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონში ჩასახლებული ეკომიგრანტი ოჯახებისთვის.

64. დონორებს დიდი წვლილი მიუძღვით სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტებისა და ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირების საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში. ამ მხრივ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM), გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის, აშშ-სა (USAID) და ევროკავშირის როლი სამინისტროსა და მისი ბენეფიციარების დახმარებისთვის გაწეული ძალისხმევის თვალსაზრისით.

<u>მუხლი 3 - გენდერული თანასწორობა</u>

65. ოკუპირებული ტერიტორიების სამინისტრო: გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციის საკითხებზე, ოკუპირებული ტერიტორიების სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად მართავს რეგულარულ საინფორმაციო შეხვედრებს ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებთან, თავშესაფრის მაძიებლებთან, ლტოლვილებთან, მიგრანტთა დროებით განთავსების ცენტრის თანამშრომლებთან. 2016 წლის ივნისში ოკუპირებული ტერიტორიების სამინისტროს 48 თანამშრომელს ჩაუტარდა ტრენინგები თემაზე „ოჯახში ძალადობა და მასზე რეაგირების მექანიზმები“.

66. სამინისტროს კომუნიკაციის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში შევიდა ცვლილება 2016 წლის 14 მაისის N1943 ბრძანებით, რომელშიც აისახა გენდერული თანასწორობის საკითხები. ასევე მოხდა დოკუმენტის გენდერული მეინსტრიმინგი.

DRAFT

67. სამინისტროსა და გაეროს ქალთა ორგანიზაციას შორის დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე 2017 წელს სამინისტროში შეიქმნა გენდერული საკითხების სპეციალისტის პოზიცია. აღნიშნულ პოზიციაზე მომუშავე პირი ამავდროულად არის ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე პასუხისმგებელი.

68. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო: საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2010 წელს მიიღო, მიზნად ისახავს საკანონმდებლო დონეზე სქესის ნიშნით ადამიანთა თანასწორობის პრინციპის განმტკიცებას და გენდერული თანასწორობის მისაღწევად შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიების შექმნას. ამასთან, მიღებული კანონმდებლობის ინპლემენტაციის მიზნით პარლამენტის მიერ დამტკიცდა შესაბამისი სამოქმედო გეგმები („ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს №1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების და გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი სამოქმედო გეგმები), რომლებიც მიზნად ისახავს აღნიშნული სამოქმედო გეგმებით აღებულ ვალდებულებათა შესრულებას, ინსტიტუციური მექანიზმის გაძლიერებასა და სამოქალაქო საზოგადოების მეტ ჩართულობას გენდერული თანასწორობის საკითხების მოწესრიგების პროცესში.

69. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს №1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების განსახორციელებელი 2016-2017 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმით ნაკისრი აქვს ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთათვის სამეწარმეო, ბიზნეს და სხვა უნარ-ჩვევებში მცირე ბიზნესის დაწყების მიზნით ტრენინგების ჩატარებას.

70. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი ს.ს.ი.პ. „აწარმოე საქართველოში“ ითვალისწინებს მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარების მიზნით საქართველოს ეკონომიკურად მოწყვლად რეგიონებში მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამების დანერგვას, მიკრო და მცირე მეწარმე სუბიექტების ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას, მიკრო და მცირე ბიზნესის წამოწყების ხელშეწყობას. პროგრამა, ასევე, მოიცავს ტექნიკურ დახმარებას ტრენინგების, სტაჟირებებისა და ინდივიდუალური კონსულტაციების მეშვეობით. მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ინოვაციურ, მომსახურებაზე ორიენტირებული მიკრო და მცირე ბიზნესის შექმნა/განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული პროგრამით სარგებლობენ კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირებიც ბიზნესის წამოწყების კუთხით.

71. 2015-2016 წელს მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განმცხადებელთა რაოდენობამ შეადგინა სულ 43 885 ადამიანი, პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობამ კი - 4911 ადამიანი, მათ შორის - 180 იძულებით გადაადგილებული პირი. საერთო ჯამში

პროგრამის ფარგლებში იძულებით გადაადგილებულ პირთა მიერ ბიზნესის განხორციელების მიმართულებით გაიცა 1,033,563 ლარი.

72. რეგიონების მიხედვით, პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ ბენეფიციარ ქალთა ყველაზე დიდი წილი (იძულებით გადაადგილებული პირი) მოდის: სამეგრელო - ზემო სვანეთზე - 46%; შიდა ქართლზე - 17%; იმერეთზე - 14%; ქვემო ქართლზე - 8%; რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთზე - 6%; მცხეთა-მთიანეთზე - 4%; გურიაზე - 3%, ხოლო თითო-თითო პროცენტი - სამცხე-ჯავახეთზე, კახეთსა და აჭარაზე.

73. „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმით“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ნაკისრი აქვს ვალდებულება, რომელიც, შესაძლებლობის ფარგლებში, ითვალისწინებს პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებში ქალთა და მამაკაცთა (განსაკუთრებით, სოფლად მცხოვრებთა, დევნილთა და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა) თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობას, ასევე, ბიზნესსაქმიანობაში ქალთა მონაწილეობის გაზრდისათვის საჭიროებების გამოვლენას და შესაბამისი პროგრამების (საგანმანათლებლო, პრაქტიკული უნარების განვითარების) შემუშავებას. აღნიშნულის ფარგლებში სამინისტროს მიერ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

74. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შემავალი ს.ს.ი.პ. „აწარმოე საქართველომ“ მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარების მიზნით, მიკრო და მცირე ბიზნესის წამოწყების ხელშეწყობის ფარგლებში განახორციელა ქალების მიერ ბიზნესის წამოწყების მხარდაჭერა.

75. 2015-2016 წელს, მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განმცხადებელთა რაოდენობამ სულ 43 885 ადამიანი შეადგინა, მათ შორის 16 401 ქალი, მთლიანი განმცხადებლის - 37.5%. პროგრამის ფარგლებში ტრენინგი გაეწია 8 880 ადამიანს, რომელთა შორის დატრენინგებულ ქალთა რაოდენობამ 3 200 შეადგინა, სულ - 36%. პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობამ შეადგინა სულ 4 911 ადამიანი, მათ შორის 1935 ქალი - მთლიანი დაფინანსებულ ბენეფიციართა 40%.

76. რეგიონების მიხედვით, დატრენინგებულ ქალთა წილი შემდეგნაირად ნაწილდება: სამეგრელო-ზემო სვანეთი - 31%; გურია - 30%; აჭარა - 37%; სამცხე-ჯავახეთი - 28%; კახეთი - 48%; შიდა ქართლი - 35%; იმერეთი - 35%; ქვემო ქართლი - 36%; მცხეთა-მთიანეთი - 38%; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 50%.

77. რეგიონების მიხედვით, პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ ბენეფიციართა ქალთა წილი შემდეგნაირად ნაწილდება: სამეგრელო-ზემო სვანეთი - 43%; იმერეთი - 38%; სამცხე-ჯავახეთი - 29 %; კახეთი - 48%; გურია - 34%; შიდა ქართლი - 30%; ქვემო ქართლი - 31%; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 50%; აჭარა - 41%; მცხეთა-მთიანეთი - 43%;

DRAFT

78. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი ს.ს.ი.პ. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) მიზანია მეწარმეების მიერ ინოვაციური პროექტების და დამწყები ბიზნესის დაფინანსების ხელშეწყობა, მათ შორის ქალთა ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერების ხელშეწყობა.

79. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ჩაერთო პროექტში "ქალთა გაძლიერება", რომლის 200-მდე მონაწილემ დაათვალიერა ტექნოპარკი და გაეცნო იმ შესაძლებლობებს, რასაც ქალ მეწარმეებს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო უქმნის. პროექტი „ქალთა გაძლიერება“ გაიმართა 2016 წელს, ორგანიზაცია JCI Georgia და Speak Up Georgia-ს მიერ, სადაც 150-მდე ქალი მონაწილეობდა.

80. შემოქმედებითი ინდუსტრიების წახალისების მიზნით GITA-ს მხარდაჭერით ტექნოპარკში გაიმართა ერთკვირიანი ვორქშოპი/TOT „განაახლე უსარგებლო ნივთები ფაბლაბში“. პოლონელი სპეციალისტის მონაწილეობით გადამზადდა 20 ქალი მეწარმე, რომლებმაც ფაბლაბის მაღალტექნოლოგიური დანადგარის საშუალებით სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები შექმნეს, გაყიდეს და დაიწყეს ბიზნეს საქმიანობა.

81. სააგენტოს მიერ 2016 წელს განხორციელებული პროექტების ბენეფიციარების 35%-ს ქალები წარმოადგენს. კერძოდ:

- მიკრო გრანტების პროგრამის ფარგლებში 84 დაფინანსებული ბენეფიციარიდან 17 (20%) ქალი იყო, ხოლო 2017 წლის იანვრიდან 1 მარტის ჩათვლით 12 დაფინანსებული ბენეფიციარიდან 3 ქალია (25%);
- სტარტაპ საქართველო პროგრამის ფარგლებში მაღალტექნოლოგიური იდეის მქონე 20 დაფინანსებული სტარტაპიდან 4 (20%) ქალი ბენეფიციარია;
- სამრეწველო ლაბორატორიაში შემოსული 420 განაცხადიდან 140 (34%) ქალს ეკუთვნის. პროექტ „დაიწყე ბიზნესი ფაბლაბთან ერთად“ 205 მონაწილიდან 93 ქალია (45%);

ბიზნეს ინკუბატორის 19 გუნდის 48 მონაწილიდან 9 ქალია (19%).

მუხლები 4 და 5 - საკანონმდებლო შეზღუდვები

V. შრომითი უფლებები

82. 2013 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეიქმნა შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი. შრომისა და დასაქმების დეპარტამენტის ძირითადი ამოცანა და კომპეტენციაა შრომისა და დასაქმების პოლიტიკის შემუშავება. საქართველოს შრომის ბაზრის ეფექტური ფუნქციონირებისათვის ინსტიტუციური მექანიზმების განვითარების, შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების საკანონმდებლო დარეგულირებისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარების მიზნით 2013 წლის 2 აგვისტოს საქართველოს მთავრობის N199 დადგენილებით დამტკიცდა „საქართველოს

შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმა“. შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის ძირითადი ამოცანებია: შრომისა და დასაქმების სფეროში სამართლებრივი ბაზრის სრულყოფა, ეფექტიანი დასაქმების ხელშეწყობა, ღირსეული სამუშაო პირობების შექმნა და დასაქმებულების შრომითი უფლებების დაცვა, სამუშაო ძალის შესაძლებლობების განვითარება. 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაიხვეწა სამართლებრივი ბაზა. 2014 წელს შევიდა ცვლილებები N199 მთავრობის დადგენილებაში და დამტკიცდა ,,საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმა“.

სოციალური პარტნიორობა და სოციალური დიალოგი

83. ქვეყანაში სოციალური პარტნიორობის განვითარების, აგრეთვე დასაქმებულებს, დამსაქმებლებსა და საქართველოს მთავრობას შორის სოციალური დიალოგის წარმართვის ხელშეწყობის მიზნით დამტკიცდა „სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის დებულება“ 2013 წლის 7 ოქტომბრის საქართველოს მთავრობის N258 დადგენილებით. ზემოაღნიშნული კომისიის ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობისთვის 2016 წელს შევიდა ცვლილება „სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N258 დადგენილებაში. ცვლილებით განისაზღვრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის უფლებამოსილება საქართველოს პრემიერ-მინისტრის არყოფნის, დავალების ან სხვა გარემოების არსებობის შემთხვევაში მოიწვიოს სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სხდომა.

84. 2016 წლის 23 იანვარს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ორგანიზებით გაიმართა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიისთვის სტრატეგიული დაგეგმარების შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მთავრობის, სოციალური პარტნიორების და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) წარმომადგენლებმა. შეხვედრაზე განხილულ იქნა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის მიერ 2016-2017 წლების განმავლობაში განსახილველი საკითხები, მათ შორის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სამმხრივი კონსულტაციების (შრომის საერთაშორისო ნორმები) შესახებ 1976 წლის N144 კონვენციის რატიფიცირების საკითხი.

85. შემუშავდა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის საქმიანობის 2016-2017 წლების გეგმა, რომელიც მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა საქართველოს შრომის კანონმდებლობის ცვლილებები, შრომითი მედიაციის მექანიზმების გაძლიერება, მედიატორთა რეესტრის დამტკიცება, შრომის ინსპექცია, კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ და ა.შ.

86. 2016 წლის 11 აპრილს სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სხდომაზე მიღებულ გეგმით გათვალისწინებული საკითხების განხილვა და შესაბამისი წინადადებების მოიქნა გადაწყვეტილება, სოციალური პარტნიორობის

სამმხრივი კომისიის ფარგლებში სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელსაც დაევალა 2016-2017 წლების მზადება.

87. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე 2016 წლის 11 ივლისს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N01-161/ო ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ფარგლებში.

88. სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ფარგლებში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა გამართა 7 შეხვედრა. შეხვედრებზე სამუშაო ჯგუფმა განიხილა საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ შესატანი ცვლილებების პროექტი, რომლებიც მომზადდა ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების XXX დანართით გათვალისწინებული ევროდირექტივების შესაბამისად. XXX დანართში მოცემული დირექტივები, რომელთა საფუძველზეც მომზადდა ცვლილებების პროექტები, შეეხება შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის აკრძალვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებს. ამავდროულად გრძელდება მუშაობა დარჩენილი დირექტივების ტრანსპოზიციაზე, XXX დანართით გათვალისწინებულ ვადებში.

89. 2017 წლის 10 თებერვალს გაიმართა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სხდომა. სოციალური პარტნიორების მიერ მიღებული მიღებული გადაწყვეტილებები შეეხო ისეთ საკითხებს, როგორიცაა კოლექტიური შრომითი დავების შემათანხმებელი პროცედურების წარმოების მიზნით მედიატორთა რეესტრის დამტკიცება, ევროპის სოციალური ქარტიის რიგი მუხლებისა და პუნქტების რატიფიცირება და სხვ.

90. საერთაშორისო პრაქტიკის უკეთ გაცნობისა და შრომითი სტანდარტების დანერგვის მიზნით საქართველოს მთავრობა აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) აქტიურად მონაწილეობს შრომის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად საქართველოს შრომის კანონმდებლობის შეცვლისა და აღსრულების მექანიზმის დანერგვის პროცესში. კერძოდ, 2013 წელს შრომის კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით აშშ-ს შრომის დეპარტამენტის მიერ გამოიყო 3 მილიონი აშშ დოლარის გრანტი პროექტის ,,შრომის კანონმდებლობის დაცვის გაუმჯობესება საქართველოში'' განსახორციელებლად. ურთიერთთანამშრომლობის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, პროექტის განმახორციელებელია შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია.

91. შრომის სფეროში რეფორმებისა და ღონისძიებების განხორციელება იქნება შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი, რომლის მიღწევა შესაძლებელია შრომისა და დასაქმების სფეროში მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებითა და გატარებით, რაც ასევე ემსახურება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ მიზნებს.

DRAFT

მუხლი 6 - შრომის უფლება

92. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 02 აგვისტოს N199 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებული აქტიობების შესრულების თანახმად საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N01-31/ნ 01.08.2013 ბრძანებით „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულებაში“ დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მომწოდებლად განისაზღვრა სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო და მის ცენტრალურ აპარატში შეიქმნა დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი.

93. 2013 წლის 10 ოქტომბერს, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის №04-423/ო ბრძანებით დამტკიცდა დასაქმების პროგრამების დეპარტამენტისა და სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების დამატებითი პასუხისმგებლობები და ფუნქცია-მოვალეობები. სააგენტოს 69 ტერიტორიულ ერთეულებში გამოიყო დასაქმების კომპონენტზე პასუხისმგებელი ადგილობრივი კადრი.

94. ევროკავშირის პროექტის (ევროკავშირის „დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარების პროექტი“-EUVEGE) 6 ხელშეწყობით შემუშავდა და:

- 2016 წლის 4 აპრილს №167 საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა ,, შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა“;
- 2014 წლის 26 დეკემბრის №721 საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა ,,საქართველოში უწყვეტი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მომსახურების განვითარების კონცეფციისა და მისი განხორციელების 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმა“;
- 2015 წლის 30 დეკემბერს №676 საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა ,,პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების სრულყოფილი სერვისის სტანდარტის განსაზღვრისა და სამუშაოს მაძიებელთათვის პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის ქვესტანდარტი“

[6] ევროკავშირის „დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარების პროექტის” მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. პროექტის ერთ-ერთ აქტივობას წარმოადგენს ტექნიკურ მხარდაჭერას ასოცირების შეთანხმების დანართი XXX-ით გათვალისწინებული დირექტივების (შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება) ტრანსპოზიციის პროცესში.

95. „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამებისა“ და „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამების“ თანახმად ხორციელდება შემდეგი აქტივობები:

1. სამუშაოს მაძიებელთა და თავისუფალი (ვაკანტური) სამუშაო ადგილების რეგისტრაციის, აღრიცხვის ელექტრონული სისტემის, შექმნისა და განვითარების მიზნით, 2013 წლის 25 დეკემბრიდან შეიქმნა სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაციის ერთიანი სისტემა worknet.gov.ge, სისტემაში რეგისტრაცია შესაძლებელია, როგორც ონლაინ რეჟიმში ასევე სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში. სისტემაში რეგისტრირებულია - 71 461 სამუშაოს მაძიებელი, მათგან 61 845 აქტიური სამუშაოს მაძიებელია. სამუშაო მაძიებელთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით ასე ნაწილდება: თბილისი-18 160, რეგიონი- 43 685; სამუშაოს მაძიებელთა განაწილება სქესობრივ ჭრილში: ქალი-38 050, კაცი-23 795; სამუშაოს მაძიებელთა განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით: 15დან-29 წლის ჩათვლით-23 301 სამუშაოს მაძიებელი, 30 დან-64 წლის წლის ჩათვლით-37 416 სამუშაოს მაძიებელი 65 წლის ზევით 1 127 სამუშაოს მაძიებელი, ასევე სისტემაში რეგისტრირებულია 441 დამსაქმებელი და 3018 თავისუფალი სამუშაო ადგილი.
2. საქართველოს შრომის ბაზარზე საშუამავლო მომსახურების გაწევის ეფექტურად უზრუნველსაყოფად 2014 წლის ივნისიდან, სააგენტოს ყველა ტერიტორიული ერთეული, დამტკიცებული ერთიანი წესის შესაბამისად, ახორციელებს საშუამავლო მომსახურების მიწოდებას. სულ საშუამავლო მომსახურების ფარგლებში 1 742 დამსაქმებელმა მოგვაწოდა 11 565 ვაკანსია. მოწოდებული ვაკანსიის პირობების შესაბამისად, შერჩეულია და დამსაქმებელთან გაგზავნილია 8 476 სამუშაოს მაძიებელი, საშუამავლო მომსახურების შედეგად დასაქმებულია 794 სამუშაოს მაძიებელი.
3. სამუშაოს მაძიებლებისათვის საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურებების გაწევის, შრომის ბაზარზე ქცევის წესების გაცნობის მიზნით, 2014 წლის ივლისიდან სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ყველა რაიონულ განყოფილებაში სამუშაოს მაძიებლებს უტარდებათ ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირებები. კონსულტირების თემებია: სამუშაოს მოძიების ტექნიკა, ზოგადი და კონკრეტული ვაკანსიის პირობებში თვითშეფასება, დასაქმებისათვის საჭირო დოკუმენტაციის: CV და სამოტივაციო წერილის შედგენის პრინციპები, გასაუბრებაზე გასვლის ტექნიკა. სააგენტოს ტერიტორიული ცენტრების მიერ ინდივიდუალური კონსულტაცია გაეწია 16 801 სამუშაოს მაძიებელს. ჯგუფური კონსულტაციებში მონაწილეობა მიიღო 9 021 სამუშაოს მაძიებელმა, მათ შორის ქალი - 6241, შშმ პირი - 147, იძულებით გადაადგილებული პირი - 615, პრობაციონერი - 148.
4. დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი ყოველწლიურად ორგანიზებას უწევს დასაქმების ფორუმებს. სულ ჩატარებულია 26 სხვადასხვა ფორმატის დასაქმების ფორუმი (მათ შორის ახალგაზრდებისათვის, მოწყვლად დაბალკონკურენტიანი ჯგუფებისათვის-შშმ

პირთათვის, პროფესული მომზადება გადამზადების კურსდამთავრებულთათვის) საიდანაც უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ჩატარებულია 22 დასაქმების ფორუმი, მათ შორის 8 შშმ პირთა დასაქმების ხელშემწყობისათვის. ფორუმები ტარდება თბილისა და საქართველოს რეგიონებში. 2016-2017 წლებში დასაქმების ფორუმებში, მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ეკონომიკური სექტორის 429 (სულ 702) დამსაქმებელმა, 20-მდე პროფესიულმა კოლეჯმა ფორუმებს დაესწრო 9 633 (სულ16 782) სამუშაოს მაძიებელი, წარმოდგენილი იყო 4 820 (სულ 5 084) ვაკანტური ადგილი. ფორუმებში მონაწილე სამუშაოს მაძიებლებიდან მიღებული უკუკავშირისა და მონიტორინგის შედეგების მიხედვით დასაქმდა 1 264 სამუშაოს მაძიებელი (მათ შორის 39 შშმ პირი).

5. პროფკონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების ფარგლებში 2015 წელს „სამუშაოს მაძიებელთათვის პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის ქვესტანდარტის“ მოთხოვნების გათვალისწინებით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ კონკურსის საფუძველზე შეარჩია 8 კარიერის დაგეგმვის კონსულტანტი. ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის ხელშეწყობით და დახმარებით შემუშავდა პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სახელმძღვანელო, რის მიხედვითაც დატრენინგდნენ შერჩული კონსულტანტები. კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული კონსულტირების მომსახურებები 2016 წლიდან ტარდება თბილისსა და საქართველოს ექვს რეგიონში (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი, იმერეთი, აჭარა). სულ კონსულტირება გაეწია 483 სამუშაოს მაძიებელს. მათ შორის: ქალი - 282, იძულებით გადაადგილებული პირი- 33, შშმ პირი - 7.

6. მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი პირების დასაქმების ხელშემწყობი მექანიზმების გამოვლენის მიზნით, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან, არასამთავრობო სექტორთან და დამსაქმებლებთან ერთად 2015 წლის 27 ივლისს გაიმართა სამუშაო შეხვედრა. შედეგად გამოიკვეთა დასაქმების ხელშემწყობი მოდელი - შშმ პირთა დასაქმებისათვის ე.წ. „დასაქმების მენტორების“ ინსტიტუტის დანერგვა/განვითარება.

ნორვეგიის განათლებისა და კვლევის, განათლებისა და მეცნიერების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინიტროებსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის შემდგარი უწყებათაშორისი მოლაპარაკების თანახმად განისაზღვრა შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა დასაქმების სხვადასხვა სერვისები, შემუშავდა მხარდაჭერით დასაქმების კოორდინატორისა და კონსულტანტის სამუშაო აღწერილობები, სამოქმედო ინსტრუქცია და სახელმძღვანელო. შედეგად, 2016 წელს სოციალური მომსახურების სააგენტომ კონკურსის საფუძველზე შეარჩია 10 მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტი და ერთი კოორდინატორი, რომლებმაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური პროფესიული განათლების პროექტისა და ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს ექსპერტების დახმარებით გაიარეს ტრენინგი და პრაქტიკული სწავლება.

DRAFT

მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტთა ჯგუფის მიერ 7 რაიონულ განყოფილებაში მხარდაჭერითი მომსახურება მიიღო 437 შშმ პირმა. შშმ პირებისათვის სამუშაო ადგილების სუბსიდირების კომპონენტის ფარგლებში ჩაერთო 52 შშმ პირი. მიმდინარე წელს საშუამავლო მომსახურების ფარგლებში დასაქმდა 21 შშმ პირი. აქედან თბილისში - 13, აჭარაში - 5, შიდა ქართლში-1, გურიაში - 1 და კახეთში - 1.

7. ბეჭდვითი გამომცემლობების, ტელე-რადიო მაუწყებლობის ჟურნალისტებისა და საზოგადოების დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლების მიზნით დასაქმების თემებზე ყოველწლიურად ტარდება ტრენინგ/სემინარები. სულ ჩატარებულია 5 ტრენინგ/სემინარი, სადაც მონაწილეობა მიიღო ქვეყნის მასშტაბით 95 მასობრივი საინფორმაციო საშუალებების, საზოგადოების დაინტერესებული მხარეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

8. შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის თვისებრივი კვლევის ფარგლებში 2015 წლის მე-4 კვარტალში თვისებრივი კვლევა ჩაღრმავებული ინტერვიუს სახით განხორციელდა 10 რეგიონის 175 კომპანიაში. 2016 წელს ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის ხელშეწყობით და დახმარებით შემუშავდა შრომის ბაზრის კვლევის ახალი მეთოდოლოგია. შერჩეულ ინტრვიუერებს ჩაუტარდათ ველზე მუშაობის შესახებ სწავლება. 2017 წლის სექტემბრის თვეში დაგეგმილია კვლევის ჩატარება ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის მხარდაჭერით.

ასევე მომზადდა და გამოიცა დასაქმების თემატიკისადმი მიძღვნილი ბროშურები, 100 მოთხოვნადი პროფესიის აღწერები.

9. დასაქმების ხელშეწყობის საკითხებთან და არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით სოციალურ პარტნიორებთან მჭიდრო თანმშრომლობის ფარგლებში 2015 წლიდან ყოველწლიურად, წლის ბოლოს ტარდება, შემაჯამებელი კონფერენცია. სულ ჩატარებულია 2 კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 291-მდე მოწვეულმა სტუმარმა (მათ შორის იყვნენ: ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, სოციალური მომსახურების სააგენტოს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, დამსაქმებელი კომპანიების და სხვა პარტნიორი უწყებების წარმომადგენლები). კონფერენციაზე წარდგენილი იქნა ანგარიში დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების საკითხებთან დაკავშირებით, ასევე მოხდა დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის საქმიანობის ამსახველი ვიდეორგოლის პრეზენტაცია. კონფერენციის ბოლოს ჯილდოები გადაეცათ პროფესიული კოლეჯებისა და დამსაქმებლების წარმომადგენლებს.(საუკეთესო პარტნიორი და საუკეთესო დამსაქმებელი).

დასაქმების ხელშეწყობის მიზნით სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტმა გააფორმა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა დაინტერესებულ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან: სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, ააიპ ქუთაისის განათლების განვითარების

და დასაქმების ცენტრი, სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი“, სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი, შპს „ლეგენდარტი“, სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი, ს.ს. „თრიალეთი“, „ხელოსანთა ქალაქი“ და ა(ა)იპ „კოდალა“.
დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი აქტიურად აგრძელებს თანამშრომლობას სხვადასხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მათ შორის: საქართველოში ევროკავშირის მისიის (EU), მსოფლიო ბანკის (WB), გაეროს (UNO), შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO), ევროპის ტრენინგების ფონდისა (ETF) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ);
ასევე მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი ჩართულია მიგრანტ მუშაკთა დროებითი შრომითი დასაქმების (პოლონეთსა და ესტონეთში) პროცესებში.
ასევე დასაქმების ხელშეწყობის არსებული მომსახურებების შეფასებისა და ანალიზის ფარგლებში 2015 წლის აგვისტოს თვიდან 2017 წლის იანვრის ჩათვლით მიმდინარეობდა ევროკავშირის დამმობილების პროექტი (Twinning) „დასაქმების მომსახურებათა შესაძლებლობების განვითარება“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში 1. გადაისინჯა საქართველოს საკანონდებლო ბაზა, რომელიც დაკავშირებულია დასაქმებასთან ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების დანართის XXX დებულების მიხედვით; 2. შესწორდა ESS_ის (დასაქმების ხელშეწყობის სამსახურის) სტრუქტურა და ფუნქციები, შიდა მენეჯმენტის და ადმინისტრაციული პროცესები სრულყოფილად და ნათლად კოდიფიცირდა; 3. შემუშავდა კონცეფცია Worknet საინფორმაციო სისტემის განახლებისათვის. 4. დაინერგა თანამედროვე ადამინური რესურსების მართვის მეთოდები, პერსონალმა შეიძინა საჭირო უნარ-ჩვევები და გამოცდილება იმისათვის, რომ შეძლოს მაღალი ხარისხის სერვისების მიწოდება სამუშაოს მაძიებლებისათვის და ასევე დანერგილ იქნა შიდა მომზადების და გადამზადების პლატფორმა; 5. დასაქმების ხელშეწყობის სამსახურს შეძენილი აქვს ყველა ინსტრუმენტი და მასალა, რათა მოახდინოს მომსახურებათა სპექტრის ეფექტური კომუნიკაცია როგორც არსებულ, ასევე პოტენციურ კლიენტებთან.

10. სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების აქტივობის ფარგლებში 2015 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის თვისებრივი კვლევის საფუძველზე გამოვლენილ მოთხოვნად პროფესიებში განხორციელდა სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა.
2015-2016 წლებში სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა, განხორციელდა ქალაქ თბილისში და 14 მუნიციპალურ ერთეულში.

DRAFT

პროგრამის სასწავლებლებში რეგისტრაცია გაიარა და სწავლება დაიწყო 2467 სამუშაოს მაძიებელმა, მათ შორის 252-სოციალურად დაუცველი, 114-შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, 208-იძულებით გადაადგილებული პირი, 11-ყოფილი პატიმარი, 6-პრობაციონერი. უკუკავშირით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დასაქმებულია 363 კურსდამთავრებული.

სტაჟირების კომპონენტის ფარგლებში სტაჟირებაზე გაიგზავნა 106 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის 49 შშმ პირი. სტაჟირების დასრულების შემდეგ 22 მათგანს გაუფორმდა შრომითი ხელშეკრულება.

2017 წელს (ივლისის მდგომარეობით) პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამაში პიველ ეტაპზე ჩაერთო 989 ბენეფიციარი, აქედან, თბილისის მასშტაბით 332, ხოლო დანარჩენ მუნიციპალურ ერთეულებში - 657. დანარჩენი 57 ბენეფიციარი სასწავლო პროცესში ჩაერთვება მეორე ეტაპზე. პირველადი ინფორმაციით, პროგრამაში ჩართულია 61 იძულებით გადაადგილებული პირი, 285 სოციალურად დაუცველი პირი და 33 შშმ პირი.

რაც შეეხება სტაჟირების კომპონენტს, მიმწოდებლად დარეგისტრირდა 12 ორგანიზაცია, სტაჟიორად დარეგისტრირდა 59 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი 25, იძულებით გადაადგილებული პირი - 4.

დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის მიერ, გაწეული დასაქმების ხელშეწყობის აქტივობების შედეგად 2017 წლის ივლისის მდგომარეობით სულ დასაქმებულია 2464 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის 114 შშმ პირი.

აქვე წარმოგიდგენთ დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ჩატარებული აქტივობების შედეგად დასაქმებულთა რაოდენობას წელბის მიხედვით.

2014წ.	დასაქმდა 387 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის 12 შშმ პირი
2015წ.	დასაქმდა 349 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის 9 შშმ პირი
2016წ.	დასაქმდა 670 სამუშაოს მაძიებელი მათ შორის 58 შშმ პირი
2017წ. ივლისის მდგომარეობით.	დასაქმდა 1058 სამუშაოს მაძიებელი მათ შორის 35 შშმ პირი

96. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ 2013 წლის ივლისში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, კოდექსის 381 მუხლით განისაზღვრა, რომ კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით (ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას) 15 კალენდარული დღის განმავლობაში სულ მცირე 100 დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტის (მასობრივი დათხოვნის) შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია მასობრივ დათხოვნამდე სულ მცირე 45 კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

სამინისტროს და იმ დასაქმებულებს, რომელთაც უწყდებათ შრომითი ხელშეკრულებები.

სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

97. სტაბილური შემოსავლის წყაროების შექმნის გზით, სააგენტო ხელს უწყობს დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და უმუშევრობის დონის შემცირებას. აღნიშნული მიზნის მიღწევის ერთ-ერთ ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს დევნილთა ჩართვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში და არსებული მეურნეობების გაფართოების მხარდაჭერა. კერძოდ, სააგენტო ეხმარება იმ დევნილებს, რომლებიც ფლობენ 5 ჰექტარზე ნაკლებ მიწას და სურთ დაიწყონ ან გააფართოვონ სასოფლო-სამეურნეო აქტივობები, მაგრამ ყოყმანობენ დაზღვევის პირობების გამო. სააგენტოს მიერ ჩატარებული შესაბამისი საინფორმაციო კამპანიების შედეგად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სადაზღვევო პროგრამაზე დევნილთა განცხადებების რიცხვი 2016-2017 წლებში საგრძნობლად გაიზარდა.

98. გარდა დაზღვევისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება დევნილთა ჩართვას კოოპერატივების მხარდამჭერ პროგრამაში. რიგი ღონისძიებების შედეგად, 2016 წელს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში გაერთიანებულ დევნილთა რიცხვი გაზრდილია 88%-ით.

99. როგორც კვლევებმა აჩვენა, პროფესიული განათლების მიღება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სამუშაოს შოვნას. დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის მიზნით, სააგენტო განათლების სამინისტროსთან ერთად ახორციელებს პროგრამას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ დევნილებს, საჭიროებისამებრ, აუნაზღაურდებათ ტრანსპორტირების ხარჯები. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებლებში სწავლა უფასოა.

100. საარსებო წყაროებზე წვდომის გასაუმჯობესებლად და დევნილთა სახელმწიფოზე დამოკიდებულებიდან თვითკმარობაზე გადასვლის უზრუნველსაყოფად, სააგენტოს მიერ განხორციელდა ბენეფიციარებისთვის თანამონაწილეობრივი საგრანტო პროგრამა. პროგრამის ფარგლებში, დევნილთა სამეწარმეო და სასოფლო-სამეურნეო ინიციატივების დასაფინანსებლად, გაიცა 2000 ლარამდე გრანტი. შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურები შემუშავდა და დამტკიცდა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რომელიც დაკომპლექტებული იყო როგორც სამთავრობო, ასევე საერთაშორისო და არასამთავრობო ინსტიტუტების წარმომადგენლებისგან. ჯამში, 2016 წელს, გრანტი გაიცა 259 ბენეფიციარზე.

101. 2017 წლიდან იგეგმება საარსებო წყაროების პროგრამებში ეკომიგრანტების ჩართვაც. მსგავსი პროგრამები ხორციელდება დაბრუნებული მიგრანტებისთვის.

დაბრუნებული მიგრანტები

DRAFT

102. „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ პროგრამის ფარგლებში სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტებისთვის გათვალისწინებულია:

- სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში ბენეფიციართა ჩართვის ხელშეწყობა;
- სოციალური პროექტების დაფინანსება, როგორც შემოსავლის წყაროს გაჩენის მიზნით, ასევე თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

ლტოლვილები და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები

103. სტატუსის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, 2017 წლის 4 მაისს გაიხსნა ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ინტეგრაციის ცენტრი.

104. „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილებაში 2016 წლის №239 დადგენილებით შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც საქართველოში ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებისათვის პროფესიული განათლების დაფინანსება გაიცემა სახელმწიფოს მიერ ან/და მონაწილეობით დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

<u>მუხლი 7 - სათანადო და ხელსაყრელი შრომითი პირობების უფლება</u>

ანაზღაურება

105. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივნისის N351 ბრძანებულებით *<u>მინიმალური ხელფასის</u>* ოდენობად განსაზღვრულია 20 ლარი. ბრძანებულების მე-5 პუნქტით განისაზღვრა, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის გათვალისწინებით საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროსა და ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით დადგენილი წესით უნდა წარედგინოს წინადადებები მინიმალური ხელფასის გაზრდის შესახებ.

106. 2005 წლის 24 იანვარს საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემულ იქნა N43 ბრძანებულება, რომლითაც აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მინიმალურ ოდენობად დადგინდა 135 ლარი.

107. ზემოაღნიშნული სცდება საქართველოში არსებულ რეალობას და შესაბამის რეალურ კვლევას საჭიროებს იმისათვის, რომ მოხდეს მისი გადახედვა და საქართველოს რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანა. მინიმალური ხელფასის გადახედვა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ორწლიანი (2016-2017 წწ) სამუშაო გეგმის ერთერთი საკითხია და ასევე საჭიროებს შესაბამის

DRAFT

კვლევას, რომლის მეთოდოლოგიაზეც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურში მიმდინარეობს მუშაობა და კვლევის შესაბამისი შედეგების არსებობის შემდეგ აღნიშნულ საკითხს განიხილავს და გადაწყვეტილებას მიიღებს სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია.

108. საარსებო მინიმუმი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არის ერთ მოსახლეზე სამომხმარებლო საქონლის ღირებულებითი გამოხატულება, რომელიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის შესაბამისად უზრუნველყოფს ადამიანის მინიმალური ფიზიოლოგიური და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას (საქართველოს კანონი საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ, მუხ. 2).

109. საქართველოში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 2016 წლის სექტემბრის მდგომარეობით განსაზღვრულია 157,3 ლარით, ხოლო საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი 263,5 ლარით. მინიმალური ხელფასი კერძო სექტორში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმის მხოლოდ 12,7%-ს, ხოლო ოჯახის საარსებო მინიმუმის 7,59%-ს შეადგენს.

110. რაც შეეხება საშუალო ხელფასს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები მოცემულია შესაბამის ბმულზე http://geostat.ge/?action=page&p_id=148&lang=geo

111. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების XXX დანართი მოიცავს იმ ევროდირექტივების ჩამონათვალს, რომლებიც შეეხება შრომისა და დასაქმების სფეროში განსახორციელებელ საკანონმდებლო ცვლილებებს. ერთ-ერთი მათგანია ევროსაბჭოს 2006/54/EC დირექტივა დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის საკითხებთან მიმართებაში მამაკაცისა და ქალის თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი მოპყრობის შესახებ ითვალისწინებს ქალთა და მამაკაცთა თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბრი მოპყრობის პრინციპის დამკვიდრების უზრუნველყოფას დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში. დირექტივის შესაბამისად განხორციელებული ცვლილებების ძალაში შესვლის ვადად განსაზღვრულია 2018 წელი. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მუშაობს საქაერთველოს კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების პროექტებზე, რაც განხილული იქნება სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ფარგლებში შექმნის სამუშაო ჯგუფში და საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს სამმხრივი კომისია.

შრომითი პირობები

112. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულებაში 2015 წელს საქართველოს მთავრობის N81 დადგენილებით შევიდა ცვლილება, რომლის საფუძველზეც შეიქმნა შრომის პირობების ინპექტირების დეპარტამენტი, რამაც მოამზადა ნიადაგი ინსპექტირების სრულყოფილი მექანიზმის დანერგვისათვის, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით დაიწყო აქტიური მუშაობა

არსებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში ცვლილებების შეტანასა და ახალი სამართლებრივი აქტების შემუშავებასთან დაკავშირებით. 2015 წლის 21 აპრილს დამტკიცდა დეპარტამენტის დებულება, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას და რომლის თანახმად აღნიშნული ქვესტრუქტურის მიერ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელდა სახელმწიფო ზედამხედველობა.

113. განისაზღვრა დეპარტამენტის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები, კერძოდ, დეპარტამენტის ფუნქციებია: კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება; იძულებითი შრომის პრევენციის მიზნით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციული ზომების მიღება, დისკრიმინაციული შემთხვევებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესწავლა, აღიცხვა და რეკომენდაციების შემუშავება. შრომის კანონდებლობისა და შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და ნორმატიული აქტის პროექტის

114. შემუშავებაში მონაწილეობა. საქართველოს კანონდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განცხადებების წერილების, საჩივრებისა და წინადადებების განხილვა.

115. „იძულებითი შრომისა და შრომითი ესპლუატაციის პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით სახელწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის №112 დადგენილების მე-3 მუხლის „ა“ და „ბ „პუნქტების შესაბამისად შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი ახორციელებს გეგმიურ და არაგეგმიურ ზედამზედველობას. გეგმიური ზედამხედველობა ხორციელდება მინისტრის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ყოველწლიური გეგმის მიხედვით. ხოლო არაგეგმიური ზედამხედველობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გონივრული ეჭვის არსებობისას, რაც დასტურდება იძულებითი შრომისა შრომითი ექსპლუატაციის შესახებ განცხადებით, საჩივრით ან ცხელ ხაზზე დატოვებული შეტყობინებით.

116. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დაიწყო რეგულაციების პროექტების მომზადება ევროკავშირის შრომისა და უსაფრთხოების დირექტივების შესაბამისად, რომელიც მოცემულია ასოცირების შეთანხმების XXX დანართში. ყოველივე ხორციელდება ევროკავშირის პროექტის (ევროკავშირის „დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარების პროექტი“-EUVEGE) 7 ხელშეწყობით.

[7] ევროკავშირის „დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარების პროექტის" მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. პროექტის ერთ-ერთ აქტივობას წარმოადგენს ტექნიკურ მხარდაჭერას ასოცირების შეთანხმების დანართი XXX-ით გათვალისწინებული დირექტივების (შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება) ტრანსპოზიციის პროცესში.

შემუშავდა კანონპროექტი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“. კანონპროექტის მიზანია, სამუშაო ადგილებზე დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა. კანონპროექტის არსს წარმოადგენს, განისაზღვროს შრომის ბაზარზე არსებული საწარმოებისთვის შრომის უსაფრთხოების კუთხით ოპერირების ერთიანი სტანდარტი. გაიმიჯნოს და დაკონკრეტდეს დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლება-მოვალეობები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობის ფარგლები, რაც გახდება შრომითი ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების, შრომის ნაყოფიერებისა და ცნობიერების ამაღლების, სამუშაო ადგილებზე ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნის გარანტი.

117. „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონპროექტი მოიცავს „სამუშაო ადგილზე მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ზომების შემოღების შესახებ“ 1989 წლის 12 ივნისის 89/391/EEC ევროსაბჭოს დირექტივის ზოგიერთ მოთხოვნებს, რომლის ქართულ კანონმდებლობაში ტრანსპოზიციის ვადად განსაზღვრულია 2019 წელი. კანონპროექტის მიღება იგეგმება 2017 წლის ბოლომდე.

<u>მუხლი 8 - პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაწევრიანების უფლება</u>

118. გაერთიანებების თავისუფლების ძირითადი უფლება უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით, რომლის 26-ე მუხლშიც აღნიშნულია, რომ **ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება (მ.26,პ.1).**

119. საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული გაერთიანების უფლება განმტკიცებულია ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“, რომლის მე-2-ე მუხლის მე-3-ე პუნქტით განსაზღვრულია, რომ „შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო“.

120. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ მე-3 მუხლი განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობების სუბიექტებს და ადგენს, რომ შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან დამსაქმებელი ან დამსაქმებელთა გაერთიანება და დასაქმებული ან დასაქმებულთა გაერთიანება, რომელიც შექმნილია „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №87 და №98 კონვენციებით გათვალისწინებული მიზნებითა და წესით (შემდგომ – დასაქმებულთა გაერთიანება) (პ.1).

121. ორგანულ კანონს - ,,საქართველოს შრომის კოდექსი“ - 2013 წლის 12 ივნისს შეტანილი ცვლილებების შედეგად დაემატა IX1 თავი-გაერთიანების თავისუფლება, რომლის 401 მუხლის პირველ პუნქტში განისაზღვრა, რომ „დასაქმებულსა და დამსაქმებელს უფლება აქვთ, წინასწარი ნებართვის გარეშე შექმნან გაერთიანება ან/და გაწევრდნენ სხვა გაერთიანებაში“, რაც გულისხმობს მათი არჩევანის თავისუფლებას, დააფუძნონ ორგანიზაცია, თავისუფლად განსაზღვრონ ორგანიზაციის სტრუქტურა და შემადგენლობა.

122. „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბერს მიღებული საქართველოს კანონის 67-ე მუხლის მიხედვით:

1. მოხელეს უფლება აქვს, საჯარო სამსახურში საკუთარი უფლებების დასაცავად შექმნას პროფესიული კავშირი ან იყოს მისი წევრი.
2. მოხელეს უფლება აქვს, არჩეულ იქნეს პროფესიული კავშირის მართვის ორგანოებში და მონაწილეობა მიიღოს მის საქმიანობაში ანაზღაურების გარეშე, სამსახურისაგან თავისუფალ დროს.

123. „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნა და განმარტებულია, რომ:

1. პროფესიული კავშირი არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული წესით შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, საქმიანობის მიხედვით – საერთო საწარმოო, პროფესიული ინტერესებით დაკავშირებულ პირთა (მუშაკთა) ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანება (ორგანიზაცია), რომლის მიზანია თავისი წევრების შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვა და წარმომადგენლობა.
2. საქართველოს კონსტიტუციით ყველას აქვს პროფესიული კავშირის შექმნისა და მასში გაერთიანების უფლება.
3. პროფესიული კავშირი შეიძლება შეიქმნას ნებისმიერ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში და სხვა სამუშაო ადგილებზე.
4. თავდაცვის, შინაგან საქმეთა, საგადასახადო, სასამართლო ხელისუფლებისა და პროკურატურის ორგანოებში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში პროფესიული კავშირების შექმნის თავისებურებანი განისაზღვრება ამ ორგანოებისა და სამსახურის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით.
5. 15 წლის და მეტი ასაკის პირს (მუშაკს), ვინც ეწევა შრომით (პროფესიულ) საქმიანობას ან სწავლობს უმაღლეს, საშუალო-სპეციალურ, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, უფლება აქვს შექმნას და შევიდეს პროფესიულ კავშირში, მონაწილეობა მიიღოს პროფკავშირულ საქმიანობაში და თავისუფლად გამოვიდეს პროფესიული კავშირიდან. დროებით უმუშევრებსა და პენსიონერებს შეუძლიათ დარჩნენ პროფკავშირის წევრებად.
6. პროფესიული კავშირი იქმნება დარგობრივი, საწარმოო, ტერიტორიული ან პროფესიული სპეციფიკის სხვა ნიშნის მიხედვით.

7. პროფესიულ კავშირებს უფლება აქვთ შექმნან:

ა) პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციები საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში და სხვა სამუშაო ადგილებზე;

ბ) ეროვნული, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, რეგიონული, რაიონული, საქალაქო, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირული ორგანიზაციები და გაერთიანებები (ასოციაციები).

8. პროფესიული კავშირის, პროფესიული კავშირების გაერთიანების (ასოციაციის) დასაფუძნებლად საინიციატივო (საორგანიზაციო) ჯგუფი იწვევს დამფუძნებელ კრებას (კონფერენციას, ყრილობას), რომელიც იღებს წესდებას და ირჩევს ხელმძღვანელ პროფკავშირულ ორგანოებს.

9. პროფესიული კავშირის დაფუძნება შეიძლება სულ ცოტა 50 პირის ინიციატივით.

10. ყველა პროფესიული კავშირი სარგებლობს თანაბარი უფლებებით.

124. საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნის უფლება ფიზიკური და იურიდიული პირების, მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირების კანონმდებლობით დადგენილი და გარანტირებული უფლებაა. ამავდროულად, კონსტიტუციის 26-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომელთა მიზანია **საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან ომის ან ძალადობის პროპაგანდა, ეროვნული, კუთხური, რელიგიური ან სოციალური შუღლის გაღვივება (პუნქტი 3), ასევე შეიარაღებული ფორმირებების შექმნა (პუნქტი 4).**

125. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ 403 მუხლი - დამსაქმებელთა და დასაქმებულთა გაერთიანებების საქმიანობაში ჩარევის აკრძალვა - ადგენს, რომ „დაუშვებელია დამსაქმებელთა და დასაქმებულთა გაერთიანებების, მათი წევრების ან წარმომადგენლების მიერ ერთმანეთის საქმიანობაში ნებისმიერი ფორმით ჩარევა“ (მ.403, პ.1).

126. ამავე მუხლში მითითებულია, თუ რა იგულისხმება გაერთიანების საქმიანობაში ჩარევად და განმარტავს, რომ „ამ მუხლის მიზნებისთვის გაერთიანების საქმიანობაში ჩარევა გულისხმობს ნებისმიერ ქმედებას, რომლის მიზანია, გაერთიანების საქმიანობისათვის ფინანსური ან სხვა საშუალებებით ხელის შეშლა მასზე კონტროლის განსახორციელებლად“(მ.403, პ.2).

127. საქართველოს კანონის „პროფესიული კავშირების შესახებ“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით პროფესიული კავშირები, პროფესიული კავშირების გაერთიანებები(ასოციაციები) დამოუკიდებელნი არიან სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, დამსაქმებელთა, დამსაქმებელთა გაერთიანებების (კავშირების, ასოციაციების), პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციებისაგან, არ არიან მათ წინაშე

ანგარიშვალდებულნი და არ ექვემდებარებიან მათ კონტროლს, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

128. პროფესიულ კავშირებს უფლება აქვთ შექმნან ფედერაციები და კონფედერაციები და გაერთიანდნენ მათთან, ასევე შევიდნენ მშრომელთა საერთაშორისო ორგანიზაციებში. აღნიშნული უფლება 2013 წლის 12 ივნისის ცვლილებების შედეგად დაცულია საქართველოს შრომის კოდექსის 401-ე მუხლის 3-ე პუნქტში, რომლის მიხედვითაც „დამსაქმებელთა გაერთიანებას და დასაქმებულთა გაერთიანებას უფლება აქვთ, შექმნან ფედერაციები და კონფედერაციები და გაერთიანდნენ მათთან. ყოველ ასეთ გაერთიანებას, ფედერაციას, კონფედერაციას უფლება აქვს, შეუერთდეს დამსაქმებელთა საერთაშორისო გაერთიანებას და დასაქმებულთა საერთაშორისო გაერთიანებას.“

129. ეს უფლება ასევე დაცულია „პროფესიული კავშირების შესახებ" კანონის მე-8-ე მუხლში, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს პროფესიულ კავშირებს უფლება აქვთ ითანამშრომლონ სხვა ქვეყნების პროფესიულ კავშირებთან, იყვნენ სხვადასხვა საერთაშორისო პროფკავშირულ ორგანიზაციათა წევრები, დადონ მათთან ხელშეკრულებები და შეთანხმებები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

130. დასაქმებულებს და დამსაქმებლებს შორის მოლაპარაკებების წარმოების ხელშეწყობის მიზნით აღსანიშნავია ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც გატარდა 2013 წლის 12 ივნისს საქართველოს შრომის კოდექსში. აღნიშნული საკითხის დარეგულირების მიზნით ცვლილებები შევიდა X თავის 41-ე, 42-ე და 43-ე მუხლებში, რომლებიც შეეხება კოლექტიურ ხელშეკრულებას.

131. აღნიშნული თავის 41-ე მუხლით განისაზღვრა კოლექტიური ხელშეკრულების მხარეები, კოლექტიური ხელშეკრულების შინაარსი, მხარეთა უფლებები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მხარეთა ვალდებულება, რომ ერთ-ერთი მხარის მიერ კოლექტიური ხელშეკრულების დადების თაობაზე ინიციატივის გამოჩენის შემთხვევაში, კეთილსინდისიერად აწარმოონ მოლაპარაკება (მ.41, პ.4), რაც გულისხმობს ნებაყოფლობით, ნამდვილ, არამოჩვენებით ძალისხმევას აწარმოონ მოლაპარაკება და მიაღწიონ სასურველ შედეგს - დადონ კოლექტიური ხელშეკრულება. ამავე მუხლის მე-5-ე პუნქტით, კანონმდებელმა დაადგინა მოლაპარაკების მიმდინარეობისას მხარეთა ვალდებულება კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვასთან დაკავშირებით (მ.41, პ.5). ასევე კანონმდებელი კრძალავს კოლექტიური ხელშეკრულების დადების პროცესში სახელმწიფო ორგანოების ჩარევას და ადგენს, რომ ამგვარი ჩარევით დადებული კოლექტიური ხელშეკრულება ბათილია“ (მ.41, პ.6).

132. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ დებულებები ითვალისწინებს დასაქმებულთა შრომითი უფლებების გაუმჯობესებას კოლექტიური ხელშეკრულების დადების გზით და ამ მიზნით ადგენს შემზღუდავ ნორმებს, კერძოდ:

მე-10 მუხლის მიხედვით ბათილია ინდივიდუალური შრომითი

ხელშეკრულების ის პირობა, რომელიც ეწინააღმდეგება ამ კანონს ან იმავე დასაქმებულთან დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულება აუმჯობესებს დასაქმებულის მდგომარეობას, ხოლო მე-13 მუხლის მე-4 პუნქტით კი დადგენილია, რომ ბათილია შრომის შინაგანაწესის ის დებულება, რომელიც ეწინააღმდეგება ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებას ან კოლექტიურ ხელშეკრულებას ან ამ კანონს.

133. დამსაქმებელთა და დასაქმებულთა შორის სოციალური დიალოგის ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით განხორციელდა ცვლილება საქართველოს შრომის კოდექსში , რომელსაც დაემატა ახალი თავი XII1 - სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია- შესაბამისი 521, 522, 523 , 524 მუხლებით.

134. საქართველოს კანონის „პროფესიული კავშირების შესახებ“ მე-12 მუხლის მიხედვით პროფესიული კავშირის, პროფესიული კავშირების გაერთიანების (ასოციაციის), პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის არჩევითი ორგანოების უფლებამოსილი წარმომადგენლები შრომითი კოლექტივის სახელით აწარმოებენ მოლაპარაკებას დამსაქმებლის, დამსაქმებელთა გაერთიანების (კავშირის, ასოციაციის), აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილ წარმომადგენლებთან, დებენ კოლექტიურ ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს და აკონტროლებენ მათ შესრულებას, ამ ხელშეკრულებებით (შეთანხმებებით) გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

135. ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია დამსაქმებლების, დამსაქმებელთა გაერთიანებების (კავშირები, ასოციაციები), აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ვალდებულება აწარმოონ მოლაპარაკება პირველად პროფკავშირულ ორგანიზაციებთან, პროფესიულ კავშირებთან, პროფესიული კავშირების გაერთიანებებთან (ასოციაციებთან) შრომით, სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე, თუ პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციები, პროფესიული კავშირები, პროფესიული კავშირების გაერთიანებები (ასოციაციები) გამოვლენ ასეთი ინიციატივით, და ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში დადონ კოლექტიური ხელშეკრულებები (შეთანხმებები).

136. საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილია გაფიცვის უფლება, კერძოდ 33-ე მუხლით ადგენს, რომ გაფიცვის უფლება აღიარებულია. ამ უფლების განხორციელების წესი განისაზღვრება კანონით. კანონი ადგენს აგრეთვე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურების საქმიანობის გარანტიებს.

137. საქართველოს შრომის კოდექსის 49-ე მუხლი (გაფიცვა და ლოკაუტი) განმარტავს გაფიცვის არსს და ადგენს, რომ გაფიცვა არის დავის შემთხვევაში დასაქმებულის დროებითი ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე. გაფიცვაში მონაწილეობის უფლება არა აქვთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პირებს (პ.1).

138. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით კოლექტიური დავის დროს გაფიცვისა და ლოკაუტის უფლება წარმოიშობა ამ კანონის 481 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მინისტრისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან ან 481 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მინისტრის მიერ საკუთარი ინიციატივით დავის მედიატორის დანიშვნიდან 21 კალენდარული დღის გასვლისთანავე.

139. ხოლო მე-4-9 პუნქტებით კი განსაზღვრულია მხარეთა ვალდებულებები გაფიცვისა და ლოკაუტის დროს, კერძოდ:

- ინდივიდუალური დავის დროს მხარეებმა გაფიცვის ან ლოკაუტის დაწყებამდე არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე ერთმანეთს წერილობით უნდა შეატყობინონ გაფიცვის ან ლოკაუტის დრო, ადგილი და ხასიათი.
- კოლექტიური დავის დროს მხარეებმა გაფიცვის ან ლოკაუტის დაწყებამდე არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე ერთმანეთს და მინისტრს წერილობით უნდა შეატყობინონ გაფიცვის ან ლოკაუტის დრო, ადგილი და ხასიათი.
- გაფიცვის ან ლოკაუტის დროს მხარეები ვალდებული არიან, განაგრძონ შემათანხმებელი პროცედურები.

- ლოკაუტი არ შეიძლება გაგრძელდეს 90 კალენდარულ დღეზე მეტ ხანს.
- გაფიცვის ან ლოკაუტის დროს დამსაქმებელი არ არის ვალდებული, მისცეს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება.
- გაფიცვა ან ლოკაუტი არ არის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი.

140. საქართველოს კანონის „პროფესიული კავშირების შესახებ“ მე-13 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით, პროფესიულ კავშირს მუშაკთა შრომითი და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვის მიზნით უფლება აქვს, კანონმდებლობის შესაბამისად, მოამზადოს და ჩაატაროს გაფიცვა, მიტინგი, დემონსტრაცია და სხვა მასობრივი საპროტესტო აქცია. პროფესიული კავშირის მიერ კანონმდებლობის დაცვით გაფიცვებისა და სხვა საპროტესტო აქციის ჩატარებისას აკრძალულია ნებისმიერი ფორმის საპასუხო ქმედება მათ ჩასახშობად.

141. საქართველოს შრომის კოდექსის 50-ე და 51-ე მუხლები ასევე ითვალისწინებენ გარკვეულ შეზღუდვებს გაფიცვისა და ლოკაუტის შემთხვევებში. კერძოდ, 50-ე მუხლში განსაზღვრულია გაფიცვისა და ლოკაუტის გადადების ან შეჩერების საფუძვლები. ამ მუხლის მიხედვით ასეთ საფუძვლებად მიჩნეულია ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოება და მესამე პირის საკუთრება, აგრეთვე სასიცოცხლო მნიშვნელობის სამსახურების საქმიანობა. ჩამოთვლილი საფუძვლების არსებობისას სასამართლოს უფლება აქვს

გადადოს გაფიცვის ან ლოკაუტის დაწყება არაუმეტეს 30 დღისა ან შეაჩეროს გაფიცვა ან ლოკაუტი ამავე ვადით.

142. საქართველოს შრომის კოდექსის 51-ე მუხლი განსაზღვრავს გაფიცვის უფლების შეზღუდვას სამომარი და საგანგებო მდგომარეობის დროს პრეზიდენტის დეკრეტის საფუძველზე (პუნქტი 1), ხოლო მე-2-ე პუნქტით აკრძალულია უშუალოდ სამუშაო პროცესის დროს გაფიცვის უფლების გამოყენება იმ დასაქმებულთა მიერ, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან ან, თუ ტექნოლოგიური ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია ამ საქმიანობის შეჩერება. აღნიშნული პუნქტი დაზუსტებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 6 დეკემბრის №01-43/ნ ბრძანებით „ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საქმიანობების ნუსხის დამტკიცების შესახებ“, რომელიც შეიცავს იმ საქმიანობების ჩამონათვალს, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლესთან.

143. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 77-ე მუხლის მე-4 პუქტის თანახმად საჯარო მოხელეზე ვრცელდება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ 49-ე–52-ე მუხლები.

144. გაფიცვის უფლება იმ პირების მიმართ, რომლებიც მიეკუთვნებიან შეიარაღებულ ძალებსა და პოლიციას, განსხვავებულად რეგულირდება. „პოლიციის შესახებ“ კანონის 36-ე მუხლის მე-2-ე პუნქტი ადგენს, რომ პოლიციელს ეკრძალება გაფიცვა, აგრეთვე შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილეობა.

145. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 6 დეკემბრის №01-43/ნ ბრძანებით „ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საქმიანობების ნუსხის დამტკიცების შესახებ“, განისაზღვრა იმ საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლესთან და რომელთაც ეზღუდებათ უშუალოდ სამუშაო პროცესის დროს გაფიცვის უფლების გამოყენება.

VI. სხვა სოციალური უფლებები

მუხლი 9 - სოციალურ უსაფრთხოების უფლება

უნივერსალური სოციალური უსაფრთხოება

146. მთავრობის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენს. მთავრობის პოლიტიკა მიმართულია სოციალური დაცვის ისეთი სისტემის შექმნისკენ, რომელიც შეამცირებს მოსახლეობის სიღარიბითა და ხანდაზმულობით გამოწვეულ სოციალურ რისკებს, ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და სხვა მოწყვლად ჯგუფებს ინტეგრირდნენ ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

147. საქართველოში სოციალური უსაფრთხოების სისტემა შედგება შემდეგი ძირითადი კომპონენტებისგან: სოციალური დახმარება, სახელმწიფო პენსიით უზრუნველყოფის სქემა, სოციალური სერვისები და სოციალური კომპენსაციის სქემები. ამასთან, საქართველოს სოციალური უსაფრთხოების სისტემის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი არის სოციალური დახმარება.

148. სოციალური დახმარების პაკეტი მოიცავს ფულადი სახსრებისა და სხვა სახის სარგებელს (მაგ. ჯანმრთელობის დაცვის პაკეტი და სხვა ცენტრალური თუ ადგილობრივი სერვისები), რომელიც ეძლევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და მარჩენალდაკარგულებს.

149. სიღარიბის დაძლევის პროცესში ასევე მნიშვნელოვანია ასაკის საფუძვლით პენსიის სქემა. ასაკით პენსია არის სტანდარტული და უნივერსალური: ეძლევა ნებისმიერ პირს (მუდმივი მაცხოვრებლები), რომელიც მიაღწევს საპენსიო ასაკს.

150. სახელმწიფო ასევე ხელს უწყობს სოციალური მომსახურების განვითარებას, რეზიდენტული და ალტერნატიული მომსახურებების, სათემო და საოჯახო ტიპის სოციალური მომსახურების ფართო სპექტრის მიწოდებას. ეს სერვისები განკუთვნილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, ბავშვებისათვის და ხანდაზმულებისათვის. სერვისები მოიცავს: სარეაბილიტაციო სერვისები და დამხმარე საშუალებები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, დღის ცენტრები, ადრეული ინტერვენციის პროგრამები, სათემო მომსახურებები. აღნიშნული სერვისები არის უფასო მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა, ასახულ სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსში არის ოფიციალურად განსაზღვრული დონის ქვემოთ. სხვა სერვისებს რაც შეეხება, სერვისები ხელმისაწვდომია თანადაფინანსების საფუძველზე. მომსახურებები ასევე მოიცავს: მინდობით აღზრდას, მცირე საოჯახო ტიპის სახლებს მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის და სხვა. აღნიშნული სერვისები არის უფასო ყველა ბენეფიციარისათვის.

151. კომპენსაციის სქემები ეხება მრავალრიცხოვან სარგებელს, რომელიც მიეცემა საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც შეესაბამებიან ერთ ან რამდენიმე კრიტერიუმს ასევე ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერებს მიეცემათ კომპენსაცია გარკვეული პირობების ფარგლებში.

152. სხვა სოციალური რისკები, როგორიცაა საწარმოო ტრავმები, ოკუპაციური დაავადებები და შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება იფარება დამსაქმებლის მიერ.

153. დეკრეტული შვებულება ფინანსდება სახელმწიფოს მიერ ყველა დასაქმებულისათვის. სახელმწიფო ასევე აფინანსებს ჯანმრთელობის დაცვის პაკეტს ყველა მაცხოვრებლისათვის.

154. „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტით გათვალისწინებული სოციალური უფლებები რეგლამენტირებულია შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით

და მათ შესასრულებლად ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროირიტეტების ფარგლებში ხორციელდება მთელი რიგი სოციალური პროგრამები.

საპენსიო უზრუნველყოფა

155. უკანასკნელ წლებში საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საპენსიო სისტემის რეფორმირების თვალსაზრისით: გაიცა წინა წლებში მემკვიდრეობით მიღებული მილიონობით ლარის გაუცემელი პენსიები, შეიქმნა პენსიონერთა ერთიანი სააღრიცხვო ელექტრონული ბაზა, მოწესრიგდა საპენსიო სისტემის საკანონმდებლო რეგულაციები, განხორციელდა სახელმწიფო პენსიების ეტაპობრივი ზრდა, გაუმჯობესდა სახელმწიფო პენსიების ადმინისტრირების პროცედურები.

156. 2006 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ,,სახელმწიფო პენსიის შესახებ'' და ,,სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ'' საქართველოს კანონები, რომელთა მთავარი მიზანი იყო საქართველოს მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაციის უზრუნველყოფა, სახელმწიფო პენსიის ასაკის, შესაძლებლობის შეზღუდვის და მარჩენალის დაკარგვის გამო დაწესებით, პირის მინიმალური საარსებო საშუალებით უზრუნველყოფის საყოველთაო უფლებით სარგებლობა და ამ უფლების რეალიზება ეტაპობრივად, არსებული რესურსების ფარგლებში. გარდა ამისა, სოციალური დაცვის გარანტიების დაწესება სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის გამო.

157. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე; საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებზე და პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერ საფუძველზე მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე. ამასთან, საქართველოში წლების განმავლობაში პენსის ოდენობისა და მიმღები პირების თაობაზე ვრცელი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ დანართი 1-ში.[8]

სოციალური შეღავათების მონეტიზაციის პროგრამა

158. ქვეყანაში 2005 წლამდე მოსახლეობის გარკვეული კატეგორია სარგებლობდა მოხმარებულ ელექტროენერგიაზე არამონეტარული შეღავათებით. ამ ბენეფიტის მიმღები ოჯახების ნაწილს უფლება ჰქონდა ელექტროენერგია მოეხმარა უფასოდ, ლიმიტის გარეშე. 2005 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შეღავათებით მოსარგებლე მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ფულადი კომპენსაციით შეცვლის შესახებ. განსაზღვრულ იქნა ფულადი კომპენსაციით მოსარგებლე მოსახლეობის კატეგორიები და მათთვის გასაცემი თანხების ოდენობა.

[8] იხ. დანართი 1.

159. 2007 წლიდან საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“, რომლის შესაბამისად, მოსახლეობის ის კატეგორია, რომელიც იღებდა ფულად კომპენსაციას, გახდა „საყოფაცხოვრებო სუბსიდიის“ მიმღები ბენეფიციარი. აღნიშნული დადგენილების შედეგად, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრა 44 ლარით.

160. 2012 წლის 1 სექტემბრიდან საყოფაცხოვრებო სუბსიდია გაიცემა საპენსიო ან სოციალურ პაკეტთან ერთად. უფლების წარმოშობის შემთხვევაში საყოფაცხოვრებო სუბსიდია გაიცემა იმ პირებზე, რომლებიც საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნის მომენტისათვის კომპეტენტურ ორგანოში აღრიცხულნი იქნებიან სახელმწიფო პენსიის მიმღებ პირებად.

სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ფულადი სოციალური დახმარება - საარსებო შემწეობა

161. 2004 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ქვეყანაში სოციალური სისტემის რეფორმის შესახებ. რეფორმის მიზანს წარმოადგენდა უკიდურეს სიღარიბეში მყოფი მოსახლეობის დახმარება. სოციალური დახმარება უნდა მიეღო მოსახლეობის იმ კატეგორიას, რომელიც რეალურად საჭიროებდა დახმარებას სახელმწიფოსგან. ამ მიზნით, 2005 წელს საქართველოში დაიწყო სოციალურად დაუცველი ოჯახების რეგისტრაცია და მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა. 2006 წლიდან კი განხორციელდა უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის ფულადი სოციალური დახმარების (საარსებო შემწეობის) გაცემა. ამ პერიოდისთვის საარსებო შემწეობის მიღებისთვის აუცილებელი ზღვრული ქულის ოდენობა იყო 52 000 პირობითი ერთეული. თუმცა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩებოდა სიღარიბის, მათ შორის ბავშვთა სიღარიბის შემცირება. შესაბამისად, სოციალური დახმარების პროგრამაში ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების უკეთ ასახვის მიზნით, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით 2013-2014 წლებში განხორციელდა სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება.

162. 2014 წლის 31 დეკემბერს საქართველოს მთავრობის №758 დადგენილებით - ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ - დამტკიცდა ახალი მეთოდოლოგია, რომლიც ძალაში შევიდა 2015 წლიდან.

163. ახალი მეთოდოლოგიით: საარსებო შემწეობის მიმღები შეიძლება გახდეს ოჯახი, რომელსაც არ აქვს შემოსავალი ან შემოსავლის მომტანი რაიმე სახის ქონება. ხანგრძლივი მოხმარების საყოფაცხოვრებო ნივთების სარეიტინგო ქულების განსაზღვრისას მხედველობაში აღარ მიიღება სოციალური აგენტის სუბიექტურიშეფასება, ამასთან, მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია თავად ოჯახის საჭიროებები, ოჯახის წევრთა სპეციალური სტატუსი (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ქრონიკული დაავადებით დაავადებული პირი, არასრულწოვანი, პენსიონერი და ა.შ.).

DRAFT

164. საარსებო შემწეობები გაიცემა გრადაციული სისტემით: ანუ ის ოჯახები, რომელთაც უფრო დაბალი სარეიტინგო ქულა აქვთ ფულად დახმარებას უფრო მეტი ოდენობით მიიღებენ. გარდა ზემოაღნიშნულისა, სიახლეა ბავშვიანი ოჯახების მიმართულებითაც. გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციით 100001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახები მიიღებენ დანამატს თითოეულ 16 წლამდე ბავშვზე 10 ლარის ოდენობით.

165. 2009 წლიდან დევნილთა და ლტოლვილთა შემწეობების გააცემაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვრა სოციალური მომსახურების სააგენტო, ხოლო ბენეფიციართა იდენტიფიცირებასა და აღრიცხვაზე პასუხისმგებელ ორგანოდ - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

166. 2014 წლის 1 მარტიდან ერთ დევნილზე, ლტოლვილსა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე გასაცემი ყოველთვიური შემწეობა განისაზღვრა 45 ლარით (ნაცვლად ორგანიზებულად განსახლებული დევნილებისათვის გათვალისწინებული 22 ლარისა და კერძო სექტორში განსახლებული დევნილებისათვის გათვალისწინებული 28 ლარისა).

167. 2013 წლის 1 მარტიდან, საქართველოს მთავრობის N45 დადგენილებით დამტკიცებული წესის საფუძველზე, შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების მიმღების უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც დასაქმებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ და ლიკვიდირებულ საწარმოში (უფლებამონაცვლე არ ჰყავს), 2007 წლის 1 იანვრამდე დადგენილი აქვს პროფესიული დაავადება ამ დამსაქმებელთან მუშაობის გამო ან ამავე დამსაქმებლის ბრალეულობით შრომითი მოვალეობის შესრულებისას მის ჯანმრთელობას მიადგა ზიანი და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, დადასტურებული აქვს ფულადი გასაცემლის მიღების უფლება; ან სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან 2007-2008 წლებში გაცემულია ერთჯერადი კომპენსაცია ან დაფარულია დავალიანება, ასევე, სს „ჭიათურმანგანუმში" ან „საქნახშირის"დეპარტამენტში, სამოქალაქო ავიაციის სისტემაში მუშაობის გამო, „ჟინვალჰესის სამშენებლო სამმართველოში" დაზარალებულ პირებს.

168. გარდა ზემოაღნიშნულისა, სოციალურად დაუცველი ოჯხებისთვის გასაცემი სოციალური შემწეობის თაობაზე დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ დანართი 2-ში.[9]

დემოგრაფიული მდგომარეობის
გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი
სახელმწიფო პროგრამა

[9] ვრცლად იხ. დანართი 2.

169. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამით (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის N262 დადგენილება) იმ რეგიონებში, სადაც წინა წლებში არ დაფიქსირებულა წლიური საშუალო ბუნებრივი მატება, 2014 წლის 1 ივნისიდან ყოველ ცოცხლადშობილ რიგით მესამე ან შემდეგ ბავშვზე ოჯახს ენიშნება ყოველთვიური ფულადი დახმარება მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებთათვის - 200 ლარის ოდენობით, ხოლო სხვა რეგიონებისთვის - 150 ლარის ოდენობით. აღნიშნული ფულადი დახმარება ოჯახს მიეცემა ბავშვის 2 წლის ასაკამდე. პროგრამა შეეხება შემდეგ რეგიონებს: გურიას, იმერეთს, კახეთს, მცხეთა-მთიანეთს, სამეგრელო-ზემო სვანეთს და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთს. 2017 წლიდან რეგიონების ჩამონათვალს დაემატა სამცხე-ჯავახეთი.

170. ამავე პროგრამის ფარგლებში, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ფულადი სოციალური დახმარების მიღების უფლება ასევე მოიპოვეს 2016 წლის 1 იანვრიდან დაბადებულმა ბენეფიციარებმა, რომელთა ერთ-ერთ მშობელს აქვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი. პირველ და მეორე ბავშვზე დახმარების ოდენობა შეადგენს 100 ლარს, ერთი წლის განმავლობაში, ხოლო მესამე და მომდევნო ბავშვზე - 200 ლარს 2 წლის განმავლობაში.

დევნილები

171. უკიდურესად გაჭირვებული დევნილებისთვის სამინისტროში არსებობს ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა. შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე, კომისია გადაწყვეტილებას იღებს დახმარების გაცემის საკითხზე. ყოველწლიურად ხდება დაახლოებით 5000 დევნილის დახმარება.

172. ყველა დევნილს შეუძლია მიიღოს ყოველთვიური 45 ლარიანი დევნილის შემწეობა, თუ მას არ უფიქსირდება თვეში 1250 ლარზე მეტი შემოსავალი და არ დაუტოვებია ქვეყანა 2 თვეზე მეტი ვადით (გამონაკლისია სამსახურებრივი მივლინება, სწავლა და მკურნალობის მიზნით ქვეყნის დატოვება). ამჟამად მიმდინარეობს დევნილის შემწეობის მათ საჭიროებებზე მორგების პროცესი.

173. 2015 წლამდე სამინისტრო ახორციელებდა დევნილთა დახმარების ისეთ პროგრამებს, როგორებიცაა ელექტროენერგიისა და გაზის ვაუჩერის გაცემა, გამოზამთრების პროგრამა, ჯანდაცვასა და სხვა საჭიროებებზე დახმარება.

დაბრუნებული მიგრანტები

174. „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ პროგრამის ფარგლებში სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტებისთვის გათვალისწინებულია:

- სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსება; ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია;

DRAFT

– იურიდიული დახმარება (კონსულტაცია სამართლებრივ საკითხებზე; წარმომადგენლობის გაწევა შესაბამის ორგანოებში; ფასიანი სახელმწიფო მომსახურების ანაზღაურება და სხვა.).

ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები

175. 2014 წლის 1-ლი მარტიდან ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე გასაცემი ყოველთვიური შემწეობა, დევნილების მსგავსად, განისაზღვრა 45 ლარით.

176. „2014 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ მთავრობის 2014 წლის 2 დეკემბრის #650 დადგენილებით, მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის #36 დადგენილებით დამტკიცებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარებს ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებთან ერთად, დაემატნენ თავშესაფრის მაძიებელი პირები.

177. 2015 წელს სამინისტროში შექმნილი ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის გასაცემი შემწეობების დამდგენი კომისიის გადაწყვეტილებით ხორციელდება ალტერნატიული საცხოვრებელის, ყოველთვიური სოციალური შემწეობის ან დამატებითი ჯანდაცვის საჭიროებების ფინანსური უზრუნველყოფა, რომელიც არ არის გათვალისწინებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით.

მუხლი 10 - ოჯახის დაცვა

178. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, „ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში. დაქორწინებისათვის აუცილებელია: საქორწინო ასაკი და დასაქორწინებელ პირთა თანხმობა. ამავე კოდექსის თანახმად, „დაქორწინებისას და საოჯახო ურთიერთობებში არ დაიშვება უფლებათა პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, პირდაპირი ან არაპირდაპირი უპირატესობის მინიჭება წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიხედვით“.

179. საქართველოში ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით, აღსანიშნავია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, გაეროს ბავშვთა ფონდთან და ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, დაიწყო პროექტი ,,ბავშვი და ოჯახი“, რომლის ამოცანა იყო: ბავშვზე და ოჯახზე ზრუნვის ჯანსაღი სოციალური დახმარების მოდელის შექმნა და დანერგვა. პროექტის განსახორციელებლად მოხდა სხვადასხვა მონათესავე სპეციალობის მქონე ადამიანების აყვანა და მათი გადამზადება სოციალური მუშაობის საფუძვლებში. ამ დროისათვის,

საქართველოს რამდენიმე ქალაქში შექმნილია ჯგუფები, რომელიც დაკომპლექტებულია გადამზადებული სპეციალისტებით, რომლებიც მუშაობენ ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებზე.

180. ბავშვის უფლებათა კონვენციის მოთხოვნათა რეალიზებისათვის, შესაბამისი საკანონმდებლო–ნორმატიული ბაზის უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 10 დეკემბრის N869 და 2012 წლის 24 აპრილის №762 განკარგულებებით დამტკიცდა ”ბავშვთა კეთილდღეობის 2008-2011 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა” და ,,ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 სამოქმედო გეგმა“, რომლებშიც სრულად არის ასახული სახელმწიფო პრიორიტეტები ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმირებისა და გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების აღსრულების კუთხით. ამასთან, გეგმის განხორციელებაში ჩართულნი იყვნენ/არიან სხვადასხვა სახელმწიფო უწყებები, პარტნიორ საერთაშორისო, თუ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, რაც ითვალისწინებს სამოქალაქო საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირების არსებობას და მასთან კონსულტაციებს.

181. ცალკე უნდა აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ბავშვთა კეთილდღეობის 2008-2011 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი თავად ბავშვები, კერძოდ: ბავშვთა სახლის აღსაზრდელები, ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებული (რეინტეგრირებული), მინდობით აღზრდაში მყოფი, მიუსაფარი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები და თბილისის ბავშვთა საკრებულოს წევრი ბავშვები, ასევე მათი მშობლები, რაც ქმნის წინაპირობას, რომ გეგმით გათვალისწინებული მიზნები, ისევე, როგორც თავად აქტივობები მიმართული იყოს სხვადასხვა კატეგორიის ბავშვთა უპირატესი ინტერესებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებისკენ.

182. სამოქმედო გეგმები აქცენტს აკეთებს ყველა კატეგორიის ბავშვის სამოქალაქო, სოციალური თუ სხვა სახის უფლების დაცვაზე, რაც ხელს უწყობს მათი საჭიროებებისა და განვითარება/რეაბილიტაციისკენ მიმართული აქტიობების სწორად განსაზღვრასა და განხორციელებას.

183. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 30 აგვისტოს #01–59/ნ ბრძანებით დამტკიცდა ,,ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები“ ახალი რედაქციით, რომლის მიზანია უზრუნველყოფილ იქნას ბავშვთა მომსახურებებში ზრუნვის მაღალი ხარისხი. ,,ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ შესრულება სავალდებულო გახდა სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი ყველა დაწესებულებისათვის, მიუხედავად მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა, ასევე სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რეგისტრირებული არაშეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრებისთვის. დღეის მდგომარეობით, ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის N66 დადგენილებით(15.01.2014წ.).

184. ყოველწლიურად მტკიცდება ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური საჭიროების მქონე ჯგუფებისთვის სოციალური მომსახურებებით სარგებლობის უფლების რეალიზებას შესაბამისი ქვეპროგრამების მეშვეობით.

185. სახელმწიფოს პრიორიტეტს დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი წარმოადგენს, გამომდინარე იქიდან, რომ ინსტიტუციური მზრუნველობა ვერ უზრუნველყოფს ბავშვის განვითარების ისეთ მოთხოვნილებებს, როგორიცაა სიახლოვის გრძნობა, სოციალური ინტეგრაცია და კონკრეტული საზოგადოების კულტურულ კონტექსტში აღზრდა. ამ კუთხით,

186. სახელმწიფოს სტრატეგიული მიზანია: დიდ ინსტიტუციებში ბავშვთა რაოდენობის მინიმუმამდე შემცირება - პირველ რიგში, ბავშვთა მიტოვების პრევენცია, რაც შესაძლებელია ოჯახის დამხმარე სერვისების მეშვეობით, როგორიცაა კვების ვაუჩერი, დღის ცენტრები, დედათა და ბავშვთა თავშესაფრები, ოჯახის კონსულტაციები და სხვ. მაქსიმალურად ბავშვების საკუთარ ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება(რეინტეგრაცია), ხოლო სადაც არ არის შესაძლებელი რეინტეგრაცია, მათი გადაყვანა 24-საათიან, ოჯახის ჩამნაცვლებელ ალტერნატიულ მომსახურებებში. ამასთან, დღეს არსებული მდგომარეობით, დარჩენილია 2 დიდი ზომის ბავშვთა სახლი, რომლებშიც ირიცხება 75 აღსაზრდელი. ბავშვზე ზრუნვის რეფორმის ფარგლებში, იქმნება ახალი მომსახურებები(მცირე საოჯახო ტიპის სახლები, სპეციალიზებული მინდობით აღზრდა, ჩამნაცვლებელი მინდობით აღზრდა) იმისთვის, რომ დასრულდეს დარჩენილი 2 სახლის დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი.

187. აღსანიშნავია, რომ დიდი ბავშვთა სახლების დახურვის შემდეგ, ბავშვების 52% დაუბრუნდა ბიოლოგიურ ოჯახს. რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახებზე გაიცემა რეინტეგრაციის შემწეობა (ფულადი დახმარება), ასევე, ოჯახის გაძლიერების მიზნით, სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრულია და ხორციელდება დამატებითი მომსახურებების მიწოდება, როგორიცაა დღის ცენტრის მომსახურება, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების გადაუდებელი დახმარება, აბილიტაცია-რეაბილიტაცია, დამხმარე საშუალებები და სხვა, შესაბამისი პროცედურების დაცვით, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის (მათ შორის ბავშვებისთვის) საარსებო შემწეობის დანიშვნა/გაცემა, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფა.

188. ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის მიმდინარეობის პროცესში, ახალი გამოწვევა იყო - ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების პრობლემები, რისთვისაც ევროკავშირის დაფინანსებით, სოციალური მომსახურების სააგენტომ, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით მოამზადა პროექტი – „მოწყვლადი ბავშვებისათვის, განსაკუთრებით ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვებისათვის, მომსახურებების სისტემის ჩამოყალიბება“, რომელიც 2012 წლის ზაფხულში დაიწყო. პროექტის ფარგლებში, შეიქმნა 3 ტიპის მომსახურება: მობილური ჯგუფები, დღის/კრიზისული ჩარევის ცენტრები, 24 საათიანი ტრანზიტული ცენტრები. ასევე, მაკრო დონეზე შეიქმნა მთავარი

DRAFT

გადაწყვეტილების მიმღები/ზედამხედველი ორგანო - სათათბირო საბჭო, რომელმაც შეიმუშავა სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

189. 2014 წლის 14 აპრილს, საქართველოს მთავრობის 291 დადგენილების ფარგლებში, ამოქმედდა "მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა", რომელიც სრულად მოიცავს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მომსახურებას.

190. წლის ივლისის მონაცემებით ფუნქციონირებს 6 დღის ცენტრი (ქუთაისი, თბილისი, რუსთავი) და 6 სადღეღამისო თავშესაფარი (თბილისი, ქუთაისი რუსთავი), 4 მობილური ჯგუფი (ქუთაისი, თბილისი). ხოლო, 2014-2017 წლების მონაცემებით, ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნდა - 18 ბავშვი. მობილური ჯგუფის დახმარებით დოკუმენტაცია მოუწესრიგდა -110 ბავშვს და მათ 2 ოჯახის წევრს; ფორმალურ განათლებაში ჩაერთო (სკოლაში ჩაირიცხა) - 73 ბენეფიციარი; 7 ბავშვს დაუმზადდა დროებითი საიდენტიფიკაციო დოკუმენტაცია.10

191. ამასთან, შესაბამისი საჭიროების მქონე პირთა დაცვის მიზნით, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ დანართი 3-ში.

192. საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილია შრომითი უფლებების დაცვა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 30-ის თანახმად, შრომა თავისუფალია და შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვნისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი". აქვე, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი" მუხლი 14 განსაზღვრავს სამუშაოზე მისაღებ მინიმალურ ასაკს, რომლის თანახმად ფიზიკური პირის ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან. 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას.

193. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად დასჯადია ადამიანის, მათ შორის არასრულწლოვნის ექსპლუატაცია (მუხლი 1432). ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 171 განსაზღვრავს, რომ არასრულწლოვნის დაყოლიება მათხოვრობაზე ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე, – ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას სამოცდაათიდან ორას

[10] იხ. დანართი 3.

ორმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

194. „იძულებითი შრომისა და შრომითი ესპლუატაციის პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით სახელწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის №112 დადგენილების შესაბამისად შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი ახორციელებს გეგმიურ და არაგეგმიურ ზედამზედველობას და იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით ამოწმებს შრომის პირობებს და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში საგამოძიებო ორგანოებს მიმართავს.[11]

195. 2016 წლის 27 მაისს საქართველოს პარლამენტის დადგენილებით დამტკიცდა „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფცია“, რომელიც მოიცავს ხანდაზმულთა ეკონომიკურ, სოციალურ, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურულ უფლებათა რეალიზაციის უზრუნველყოფას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ შემუშავებულია 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა მოსახლეობის დაბერების საკითხის მეინსტრიმინგის გზამკვლევის რეკომენდაციების განსახორციელებლად, რომელიც ამჟამად გადის დამტკიცების პროცედურებს.

196. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის №338 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2016-2017 წლებისთვის, ხოლო საკითხის პრიორიტეტულობისა და აქტუალობის გათვალისწინებით ცალკე მოხდა ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცება, რომლის შემუშავება მიმდინარეობდა დარგობრივი სამინისტროების, გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით. ფართო კონსულტაციების პროცესის შედეგად შემუშავებული სამოქმედო გეგმა სცდება ოჯახში ძალადობის საკითხებს და აგრეთვე ფარავს ქალთა მიმართ ძალადობის ისეთ სხვა ფორმებს, როგორიცაა სექსუალური ძალადობა და ადრეული ქორწინება.

197. გარდა ზემოაღნიშნულისა, სახელმწიფო ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის კუთხით. აღნიშნულის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. დანართი 5-ში.

198. საქართველოში არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა, რომლითაც დასჯადია ადამიანებით ვაჭრობა. კერძოდ, „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებულ იქნა 2006 წლის 16 მაისს. ამასთან, „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტები და წესი“ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 აპრილის N 284 დადგენილებით. ხოლო, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2018 წლების

[11] ვრცლად, იხ. დანართი 4.

სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ 2016 წლის 15 დეკემბერს.

199. ოკუპირებული ტერიტორიების სამინისტრო, ბენეფიციარებისთვის განკუთვნილი პროგრამების განხორციელების დროს, მხედველობაში იღებს ოჯახის ყველა წევრის მდგომარეობას. მაგალითად, საცხოვრებელი ბინების განაწილებისას მნიშვნელობა ენიჭება ოჯახის არადევნილი წევრების რაოდენობას.

მუხლი 11 - ადეკვატური საცხოვრებელი პირობები

საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების უფლება

200. „საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს კანონით საარსებო მინიმუმი გაიანგარიშება ნორმატიულ-სტატისტიკური მეთოდის საფუძველზე, მიმდინარე (შესყიდვის) საშუალო ფასების მიხედვით. ნორმატიული მეთოდის გამოყენებით ფორმირდება სასურსათო კალათა, რომელიც ითავალისწინებს კვების პროდუქტების მოხმარების მინიმალურ ნორმებს, ხოლო სტატისტიკური მეთოდით განისაზღვრება დანახარჯები არსასურსათო საქონელსა და მომსახურებაზე, რომელიც ითვალისწინებს მოხმარების ფაქტიურ დონეს. საარსებო მინიმუმის ფორმირებას საფუძვლად უდევს შრომისუნარიანი მამაკაცის სასურსათო კალათა. საარსებო მინიმუმის დონეს ადგენს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

სათანადო საცხოვრისის უფლება

201. რაც შეეხება სათანადო საცხოვრებლის უფლებას, აღსანიშნავია, რომ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ჟ“ პუნქტის თანახმად, უსახლკარო პირი არის: „მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არმქონე პირი, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში რეგისტრირებულია, როგორც უსახლკარო“. ამავე კანონის მე-18 მუხლის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციებსა და უფლება-მოვალეობებს სხვა საკითხებთან ერთად მიეკუთვნება უსახლკარო პირების თავშესაფრით უზრუნველყოფა. ასეთივე ნორმა დადგენილია „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლით, კერძოდ, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას მიეკუთვნება უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია.

202. ოკუპირებულ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან კოორდინაციით სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მიმდინარეობს დევნილის სტატუსის მქონე პირთათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების პროცესის შესაბამისად 2013 წლიდან 2017 წლის 1 ოქტომბრამდე 15 552 სახელმწიფო ქონება პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცა დევნილ ოჯახებს. აგრეთვე 2013 წლიდან 2017 წლის 1 ოქტომბრამდე, 599 სახელმწიფო ქონება პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცა

ეკომიგრანტების ოჯახებს, რაც მნიშვნელოვანია სოციალური კეთილდღეობისა და უსაფრთხოების ამაღლებისთვის.

უფლება წყალზე

203. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები წინასწარ შედგენილი გეგმის საფუძველზე ყოველთვიურად ახდენენ ზედაპირული წყლების ხარისხის მონიტორინგს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე წელიწადში ორჯერ წარმოებს დაკვირვება მიწისქვეშა წყლებზე.

204. წყლის სინჯებში ისაზღვრება ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები, მთავარი იონები, ბიოგენური ნაერთები, ჟანგბადის ბიოლოგიური მოხმარება, pH, მძიმე ლითონები, ორგანული ნივთიერებები და სხვა. ზოგიერთ სინჯში დგინდება მიკრობიოლოგიური დაბინძურება, აგრეთვე ტარდება ჰიდრობიოლოგიური კვლევა.

205. წყლის სინჯებზე ჩატარებული ანალიზების შედეგები ყოველთვიურად ქვეყნდება საინფორმაციო ბიულეტენში ,,მოკლე მიმოხილვა საქართველოს გარემოს დაბინძურების შესახებ“. წლის ბოლოს კი მზადდება ,,საქართველოს ტერიტორიაზე ზედაპირული წყლების ხარისხის წელიწდეული“.

206. 2016 წელს სულ აღებული იქნა 920 ზედაპირული წყლის სინჯი 68 მდინარეზე,5 ტბასა და 2 წყალსაცავზე. 26 მდინარეში წყლის ჩარჩო დირექტივის შესაბამისად ჩატარდა ჰიდრობიოლოგიური კვლევა. 34 მიწისქვეშა წყლის სინჯში ჩატარდა ქიმიური და მიკობიოლოგიური ანალიზები.

207. გარემოს ეროვნული სააგენტო ყოველწლიურად ზრდის მონიტორინგის წერტილების რაოდენობას, რაც იძლევა საქართველოს ზედაპირული წყლების ხარისხის უკეთ შესწავლის შესაძლებლობას.

208. ამასთან, ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივიდან (N 2000/60/EC) გამომდინარე ერთ-ერთ მნიშვნელოვან ვალდებულებას წარმოადგენს წყლის ხარისხის მონიტორინგის პროგრამების ჩამოყალიბება.

209. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ ახალი კანონპროექტით გათვალისწინებულია წყლის რესურსების მართვის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მონიტორინგის განახლებული სისტემის შექმნა ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკისა და სტანდარტის გათვალისწინებით.

დევნილები

210. 2017 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით, გრძელვადიანი განსახლების პროგრამით უზრუნველყოფილია 104,619 დევნილი (36,412 ოჯახი) და

დარჩენილია 171,566 განსასახლებელი პირი. შესაბამისად, გრძელვადიანი განსახლებით უზრუნველყოფილია დევნილთა მთლიანი რაოდენობის 38 %.

211. უკანასკნელ წლებში აქტიურად მიმდინარეობს დევნილებისთვის საცხოვრებლების საკუთრებაში გადაცემის პროცესი და 2017 წლის ივნისის მდგომარეობით დაახლოებით 26,440 დევნილ ოჯახს საკუთრებაში დაუკანონდა საცხოვრებელი ფართი.

212. სამინისტროს შემუშავებული აქვს დევნილთა გრძელვადიანი განსახლების სხვადასხვა პროგრამა, რათა მხედველობაში იქნეს მიღებული დევნილთა განსხვავებული საჭიროებები და მოხდეს არსებული რესურსების ოპტიმალურად გამოყენება.

213. დევნილთა მდგრადი ინტეგრაციის მიზნის მისაღწევად სამინისტროს მიერ განსახლების პრობლემის გადაწყვეტის დროს აქცენტი კეთდება ისეთ პროგრამებზე, რომელთა მეშვეობითაც განსახლებასთან ერთად დევნილებს წვდომა ექნებათ საარსებო წყაროებზე.

214. ამჟამად, სამინისტროს მიერ ხორციელდება გრძელვადიანი განსახლების შემდეგი პროგრამები:

- რეაბილიტაცია და მშენებლობები;
- მასშტაბური ახალი მშენებლობები;
- „სოფლად სახლი“-ს პროექტი;
- მენაშენეებისგან ბინების გამოსყიდვა;
- დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული იმ ობიექტების გამოსყიდვა, რომლებსაც კერძო მესაკუთრე ჰყავს;
- იპოთეკური სესხით დატვირთული ბინების გამოსყიდვის პროექტი.

უკიდურესად გაჭირვებულ დევნილებს, რომლებიც გრძელვადიანი განსახლების მოლოდინში არიან, სამინისტრო, სუბსიდირების პროგრამის შესაბამისად, ეხმარება ბინის ქირით.

ეკომიგრანტები

215. სამინისტროს მონაცემთა ბაზაში ეკომიგრანტების შესახებ ინფორმაცია მოიპოვება 2013 წლიდან. 2017 წლის მდგომარეობით, ყოველწლიურად საცხოვრებლით უზრუნველყოფილ იქნა დაახლოებით 100 ოჯახი; 2013-2016 წლებში სულ უზრუნველყოფილ იქნა 245 ოჯახი. არსებული დროისათვის, უზრუნველსაყოფ ოჯახთა რაოდენობა არის 3,838.

216. აღნიშნული ტემპით, ეკომიგრანტთა საცხოვრებლით სრულ უზრუნველყოფას ათეულობით წლები დასჭირდება. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტიც, რომ სტიქიური მოვლენების გამო, ეკომიგრანტების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება.

DRAFT

217. 2014 წლის იანვრიდან შემოღებული ახალი სისტემა, დაზარალებულ ოჯახს შესაძლებლობას აძლევს ისარგებლოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით გარკვეული ლიმიტის ფარგლებში და მისი სურვილის შესაბამისად, შეისყიდოს საცხოვრებელი სახლი. 2015 წლიდან სახელმწიფო დაფინანსების მოცულობა თავდაპირველად იყო 20,000 ლარი, ხოლო 2015 წლიდან დღემდე 25,000 ლარს შეადგენს. თუ შესასყიდი საცხოვრებლის ღირებულება უფრო მეტია, მაშინ სხვაობას ფარავს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახი.

დაბრუნებული მიგრანტები

218. „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ პროგრამის ფარგლებში სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტებისთვის გათვალისწინებულია დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში.

თავშესაფრის მაძიებელი პირები

219. 2010 წლიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში ფუნქციონირებს 60 ადამიანზე გათვლილი თავშესაფრის მაძიებელთა მიღებისა და განთავსების ცენტრი. ცენტრი მოწყობილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

220. თავშესაფრის მაძიებელთა მზარდი ნაკადიდან გამომდინარე, თავშესაფრის მაძიებელ პირთა დროებითი განთავსების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, თბილისში აშშ-ს საელჩომ, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა (UNHCR) და სამინისტროს ურთიერთთანამშრომლობით, აშშ-ის ევროპული სარდლობისა (EUCOM) და აშშ-ის თავდაცვის თანამშრომლობის ოფისის (ODC) ხელმძღვანელობით განახორციელა მარტყოფის თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის დამატებითი შენობის მშენებლობა. ახალი ცენტრი გათვლილია 72 ადამიანზე. 2015 წლის ბოლოს დასრულდა მეორე შენობის მშენებლობა და კეთილმოწყობა, რომელიც 2016 წლის 12 თებერვალს გაიხსნა.

მუხლი 12 - ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტები

221. 2013 წლის თებერვლიდან სახელმწიფოში მოქმედებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომელმაც სათავე დაუდო საქართველოს ყველა მოქალაქისთვის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სამედიცინო მომსახურებით უნივერსალურ მოცვას. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ფარავს გეგმიურ ამბულატორიულ, გადაუდებელ ამბულატორიულ-სტაციონარულ და გეგმიურ ქირურგიულ მომსახურებას, ასევე ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობასა და მშობიარობას.

222. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის გარდა, მოსახლეობის წინაშე სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებები ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის და პრიორიტეტულ სფეროებში მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდების პროგრამებით.

DRAFT

223. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები მოიცავს გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის, მოსახლეობის იმუნიზაციის, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობის, ტუბერკულოზის, მალარიის, C ჰეპატიტების, აივ ინფექცია/შიდსის, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების კონტროლის და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ღონისძიებების განხორციელებას საქართველოს მთელი მოსახლეობისთვის.

224. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები და მკვეთრად გამოხატული შშმ პირები სარგებლობენ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ განსხვავებული პაკეტით, რაც ითვალისწინებს, როგორც ამბულატორიული, ასევე, სტაციონარული სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას შესაბამისი ლიმიტებისა და თანაგადახდების გათვალისწინებით.

225. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №209 დადგენილებით დამტკიცდა „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა“, რომელიც ითვალისწინებს გულ-სისხლძარღვთა, ფილტვის ქრონიკული დაავადების, ასევე დიაბეტის (ტიპი 2) და ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების მქონე, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული მოსახლეობის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს შესაბამისი მედიკამენტებით უზრუნველყოფას.

226. სამედიცინო დაწესებულებებში არსებული გარემოს შშმ პირებისთვის მისაწვდომობა და შენობის შშმ პირთა მიმართ ადაპტაციისათვის საჭირო სტანდარტები დადგენილია საქართველოს მთავრობის შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტებით (ვრცლად, იხ. დანართი 6).

227. ფარმაცევტული პროდუქტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა რეგულირდება საქართველოს კანონით წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ და მასზე პასუხისმგებელი ორგანოა სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა დაიცვას საქართველოს ბაზარი მომხმარებლისათვის საფრთხის შემცველი ფალსიფიცირებული, გაუვარგისებული, ვადაგასული და საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე ფარმაცევტული პროდუქტისაგან.

228. ქვეყანაში მოქმედებს „დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამა“, რომელიც ითვალისწინებს საექიმო სპეციალობის მაძიებელთა დიპლომისშემდგომი/სარეზიდენტო მზადების დაფინანსებას მაღალმთიანი და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებისათვის დეფიციტურ და პრიორიტეტულ საექიმო სპეციალობებში. პროგრამის მიზანია, აღნიშნულ რეგიონებში სამედიცინო სერვისის მიწოდების უწყვეტობისა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

229. დიპლომისშემდგომი/სარეზიდენტო განათლება ასევე უფინანსდებათ იმ მაძიებლებს/რეზიდენტებს, რომლის ოჯახმაც რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის გადმოწევის, მავთულხლართების გავლებისა და სხვა ბარიერების აღმართვის შედეგად მიიღო ქონებრივი ზიანი.

230. საქართველოს მთავრობის მიერ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედითი ინიციატივებისა და გაწეული მნიშვნელოვანი ძალისხმევის შედეგად, საქართველომ შეასრულა ათასწლეულის განვითარების მე-4 მიზანი და ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა შეამცირა 48-დან (1990 წელს) - 12-მდე (2015 წელს) 1000 ცოცხალშობილზე, ნაცვლად სამიზნე-16-ისა. თუმცა, მდგრადი განვითარების მიზნებისათვის საქართველოს მიერ დასახული ამოცანა კიდევ უფრო ამბიციურია: 2030 წლისთვის დედათა სიკვდილიანობის შემცირება 12-მდე 100,000 ცოცხლადშობილზე, ნეონატალური სიკვდილიანობის შემცირება 5-მდე 1,000 ცოცხლადშობილზე, ხოლო 5 წლამდე ასაკის ბავშვებში სიკვდილობის შემცირება 6-მდე 1,000 ცოცხლადშობილზე.

231. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით, 2013 წლიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ამოქმედდა დედათა და ბავშვთა საკოორდინაციო საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს ანტე-, პერი- და პოსტ-ნატალური სამსახურების ფუნქციონირების, დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის პოლიტიკისა და პროგრამების, რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცალკეული ასპექტების თემატურ განხილვას და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას.

232. მომზადებულია და უახლოეს მომავალში დამტკიცდება დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის 2017-2030 წლების ეროვნული სტრატეგია, რომელიც მომავალი 14 წლის განმავლობაში განსაზღვრას ქვეყნის პოლიტიკას როგორც დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის, ასევე, ოჯახის დაგეგმვის, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმართულებით.

233. ქვეყანაში მოქმედებს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამა. ხსენებული პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი მომსახურებები: ანტენატალური მეთვალყურეობა; ანტენატალური სკრინინგი აივ-ინფექცია/შიდსზე, B და C ჰეპატიტებზე და სიფილისზე; მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობა; გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა; ორსულებში B და C ჰეპატიტების, აივ-ინფექცია/შიდსის და სიფილისის განსაზღვრისა და დედიდან შვილზე B ჰეპატიტის გადაცემის პრევენციის უზრუნველყოფა და ა.შ.

234. გარდა ამისა, საქართველოს შესაბამისი უწყებები დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით აქტიურად თანამშრომლობენ საერთაშორისო სააგენტოებთან. მაგალითად, გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით ახორციელებს პროექტს „ჩემი უფლებები“, რომლის ფარგლებში ქ. თბილისისა და კახეთის სკოლებში ჩატარდა სწავლებები რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის

პრინციპების, აივ-შიდსისა და სქესობრივად გადამდები დაავადებების საკითხებზე.

235. გაეროს მოსახლეობის ფონდი 2014 წლიდან ტექნიკურ დახმარებას უწევს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ჯანსაღი ცხოვრების წესის და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხების განათლების სისტემაში ინტეგრირების მიმართულებით, „ჯანსაღი და ჰარმონიული აღზრდის ეროვნული კონცეფციის" მიხედვით. ამ პროცესში აქტიურად არის ჩართული და გაეროს მოსახლეობის ფონდთან თანამშრომლობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

236. მოსახლეობის ინფორმირებულობის მიზნით, იბეჭდება ბუკლეტები და ბროშურები, რომლებშიც სხვადასხვა ენაზე მითითებულია ინფორმაცია ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მიწოდებული სერვისების შესახებ, მათ შორის რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების შესახებ.

237. დასრულდა მუშაობა დოკუმენტზე: „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა საბავშვო ბაღებში“, რომელიც დამტკიცდება მიმდინარე წლის ბოლომდე. მომზადებული და დამტკიცებულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაცია „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა საბავშვო ბაღებში“. ასევე, მომზადებულია დოკუმენტი „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლებში“ და მიმდინარეობს განხილვის პროცედურები.

238. ქვეყნის დონეზე არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის გაძლიერებისა და გლობალური სამოქმედო გეგმებისა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის მიზნით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით შეიქმნა არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ქვეყნის ინტერსექტორალური საკოორდინაციო საბჭო, ასევე დამტკიცებულია არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ეროვნული სტრატეგია და 2017-2020 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის ერთერთი მნიშვნელოვან მიმართულებას დაავადებათა და რისკ-ფაქტორთა პრევენცია წარმოადგენს.

239. გარდა ზემოაღნიშნულისა, სახელმწიფოში ასევე ტარდება არადადამდებ დაავადებათა კონტროლის მიზნით შესაბამისი კვლევება, რომლის თაობაზე დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ მე-7 დანართში.[12]

240. უკვე 10 წელზე მეტია ქვეყანაში ფუნქციონირებს ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა. პროგრამით სახელმწიფოს მიერ იფარება შემდეგი სერვისები: სტაციონარული დეტოქსიკაცია და პირველადი რეაბილიტაცია ფსიქოაქტიური ნივთიერებების, მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების დროს; ჩანაცვლებითი თერაპიის განხორციელება და ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის

[12] იხ. დანართი 7.

მიწოდების უზრუნველყოფა ქ. თბილისსა და რეგიონებში; ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფა და ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურება.

241. ქვეყანაში შემუშავებულია და მოქმედებს მთელი რიგი კანონები და სამართლებრივი რეგულაციები, რომელიც ნარკოტიკული საშუალებების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო და კანონიერ ბრუნვას აწესრიგებს. მოქმედი, როგორც ადმინისტრაციული, ასევე სისხლის სამართლის კანონმდებლობით, ნარკოტიკების მოხმარება სამართალდარღვევაა. ამასთან, 2011 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით შეიქმნა ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო.

242. 2013 წელს საქარველოს პარლამენტის დადგენილებით დამტკიცდა „ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგია“, ხოლო საკოორდინაციო საბჭომ დაამტკიცა 2014-2015 წწ. სამოქმედო გეგმა, შემდეგ კი 2016-2018 წწ. სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს მიწოდებისა და მოთხოვნის (პრევენცია, მკურნალობა და რეაბილიტაცია) შემცირების, ზიანის შემცირების, ნარკოპოლიტიკის მოდიფიცირებისთვის საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების ღონისძიებებს.

243. 1999 წლიდან ქვეყანაში ფუნქციონირებს აივ-ინფექცია შიდსის მართვის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანია აივ-ინფექციის/შიდსის ახალი შემთხვევების დროულად გამოვლენა; აივ-ინფექციის/შიდსის გავრცელების შეფერხება; აივ-ინფექციით/შიდსით დაავადებულთათვის მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

244. მოსახლეობაში გავრცელებული სტიგმისა და სამართლებრივი დევნის რეალური საშიშროების გამო, მაღალი რისკის მქონე პირთა აივ ინფექცია შიდსის სახელმწიფო პროგრამით მაქსიმალურად მოცვის უზრუნველყოფის მიზნით, 2014 წლიდან პროგრამაში მათი იდენტიფიცირება ხდება 15-ნიშნა დაშიფრული კოდით, რომლის წესი რეგულირდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით.

245. 2016 წლის ივლისში დამტკიცდა აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის 2016-2018 წლების ეროვნული სტრატეგია, რომლის მიზანია საქართველოში აივ ეპიდემიის შემცირება მაღალი რისკის ჯგუფებზე ფოკუსირებული გაძლიერებული ინტერვენციებით და აივინფიცირებულთა მკურნალობის გამოსავლის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით.

246. მიმდინარე წლის 1 ივლისიდან ქრონიკული დაავადებების მქონე პირთათვის, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების“ მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათზე მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, ამოქმედდა ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებების, ფილტვის ქრონიკული დაავადებების, დიაბეტის (ტიპი 2) და

ფარისებრი ჯირკვლის დაავადებათა რიგი სამკურნალო მედიკამენტებით პაციენტთა უზრუნველყოფა.

247. ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრის და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მხარდაჭერით და კომპანია „გილეადის“ კეთილი ნებით, საქართველოს მთავრობამ 2015 წელს დაიწყო მსოფლიოში უპრეცედენტო C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა. 2015 წლის აპრილიდან C ჰეპატიტის მქონე პაციენტები უზრუნველყოფილნი არიან მკურნალობის წინა სადიაგნოსტიკო და მკურნალობის მონიტორინგისათვის საჭირო კვლევებით და C ჰეპატიტის სამკურნალო უახლესი მედიკამენტებით.

248. 2014 წლის სექტემბრიდან ქვეყანაში ამოქმედდა რეცეპტების ინსტიტუტი და აიკრძალა მე-2 ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ურეცეპტოდ რეალიზაცია, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რაციონალური ფარმაკოთერაპიის პროცესის დანერგვას და ე.წ. „სააფთიაქო ნარკომანიასთან“ ბრძოლას.

249. საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი და 2015-2020 წლის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას.

250. საქართველოში 1995 წლიდან ფუნქციონირებს ფსიქიატრიული მომსახურების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ინტენსიურად ვითარდება ბენეფიციართა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, პაციენტები უზრუნველყოფილნი არიან სხვადასხვა ტიპის მომსახურებებით.

251. ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია, რომელიც გულისხმობს ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა გამოჯანმრთელების, სოციალური ადაპტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას და დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის საჭირო ბაზისურ უნარ-ჩვევათა აღდგენა/შესწავლას.

252. ამასთან, სახელმწიფოში ნარკომანიით დაავადებულ და ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა მკურნალობის მიზნით, განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე შეგიძლიათ იხილოთ მე-8 დანართში.

VII. საგანმანათლებლო და კულტურული უფლებები

მუხლები 13 და 14 - განათლების უფლება

253. სახელმწიფოს ეროვნული სასწავლო გეგმა დაფუძნებულია პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო კონცეფციაზე. მისი მთავარი ამოცანაა, ხელი შეუწყოს ისეთი მოქალაქის აღზრდას, რომელიც შეძლებს უპასუხოს თანამედროვე სამყაროს გამოწვევებს და მოთხოვნებს. შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს ისეთი საკითხების სწავლებას, რაც

მოსწავლეებს აუმაღლებს სამოქალაქო ცნობიერებას და ხელს შეუწყობს მათ ტოლერანტ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას.

254. უფრო კონკრეტულად, აღნიშნული საკითხების შესახებ სწავლება მიმდინარეობს ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშულო).

255. 2016 წელს დამტკიცდა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა დაწყებით საფეხურზე 2018-2023 წლებისთვის, რომლის შესაბამისად, დაწყებითი საფეხურის III-IV კლასებში დაინერგება ახალი საგანი - „მე და საზოგადოება“, საგნის ერთ-ერთი მიმართულებაა სოციალურ-კულტურული განვითარება, მოქალაქეობა და უსაფრთხოება.

256. ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, მოსწავლის განათლების სახელმწიფო დაფინანსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, გრძელდება ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე, 12 წლის განმავლობაში, სახელმწიფოს მიერ ვაუჩერის გაცემის გზით. ზოგადი განათლების პირველი და მეორე საფეხურის განათლება სავალდებულოა.

257. რაიმე სახის გადასახადი, საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არ არის დაწესებული. ამასთან, „სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საჯარო სკოლის მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან უფასო სასკოლო სახელმძღვანელოებით.

258. გარდა ამისა, განათლებისა და მეცნიერების სამინიტრო ახორციელებს „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამას, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები, საჭიროების შემთხვევაში (სკოლამდე შორი მანძილი, შეზღუდული შესაძლებლობა და სხვა), სარგებლობენ უფასო სასკოლო ტრანსპორტით.

259. ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, სასკოლო ფორმის დაწესებისას სკოლამ უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ფინანსური შესაძლებლობები და თუ მას არ შეუძლია ფორმის შეძენა, სკოლამ უნდა უზრუნველყოს იგი ფორმით.

260. მოსწავლეების მიერ სასწავლო წლის დამამთავრებელი გამოცდები, საატესტატო და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება უფასოა.

261. გარდა ამისა, სახელმწიფო ახორციელებს სოციალური ინკლუზიის პროგრამას, მოწყვლადი ჯგუფების საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისთვის. პროგრამაში ჩართულია 14 000 ბენეფიციარი. ამასთან, სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის პროგრამა ქმნის პიროვნული შესაძლებლობების თანაბარ პირობებში რეალიზების საშუალებას და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოზარდებისთვის ადაპტირებულ გარემოს სადაც "ყველა ბავშვის" უფლება თანაბრადაა დაცული და სადაც ტერმინი "სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები" ვრცელდება სასწავლო პროცესიდან განთესილი და ან/სოციალურად დაუცველ, დევნილ, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ რეპატრირებულ და სტატუსის არმქონე

მოზარდებზე რომელთა საჭიროებები მათი სწავლის სირთულეებიდან მომდინარეობს.

262. საქართველოს მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტების შესაბამისად, ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერით, 2013 წელს შემუშავდა და დამტკიცდა პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წლებისათვის). სტრატეგიის მიზანია, ქვეყანაში სიღარიბის შემცირება, თანასწორობასა და ინკლუზიურობაზე დამყარებული საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა, ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ჰარმონიზება და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება დასაქმებისა და თვითდასაქმებისათვის.

263. წელს საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინა ქვეყანაში შექმნილი სოციალური მდგომარეობა და მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული განათლების სრულად დაფინანსების შესახებ.

264. პროფესიული განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია თითოეულ მუნიციპალიტეტში გაჩნდეს პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა - ახალი კოლეჯის დაფუძნების, არსებული კოლეჯების ფილიალების განვითრების, საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმატში კოლეჯის დაფუძნების ან არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების რესურსის გამოყენების გზით. დღეისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს 24 საჯარო პროფესიული კოლეჯი, 15 სახელმწიფო უმაღლესი, 1 საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება და 70-მდე კერძო კოლეჯი.

265. პროფესიული განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად 2014 წლიდან დაიწყო მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა პროფესიული მომზადების პროგრამები, რომლის მიზანია მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია- რეაბილიტაცია და განმეორებითი დანაშაულის პრევენცია. 2014-2015 წლებში პროფესიულ განათლებაში ჩაერთო 800-ზე მეტი ბენეფიციარი. 2016 წელს მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა პროფესიული განათლების პროგრამებში ჩაერთო 1000-ზე მეტი ბენეფიციარი. აღნიშნული პროგრამა მიმდინარეობს 2017 წელსაც და პროგრამაში ჩაერთო 583 ბენეფიციარი.

266. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ინკლუზიური პროფესიული განათლების მიმართულებით. ყველა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება აკმაყოფილებს ფიზიკური გარემოს მინიმალურ სტანდარტს. საჭიროების შესაბამისად ყველა კოლეჯში უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისა და სპეციალური ასისტენტების მომსახურება, სმენადაქვეითებული პირების საჭიროებების გათვალისწინებით სასწავლო პროცესში ჩართულები არიან ჟესტური ენის თარჯიმნები. ინკლუზიური პროფესიული განათლების ხელშეწყობისთვის, 2016 წელს დასრულდა 4 კოლეჯის

რეაბილიტაცია უნივერსალური დიზაინის პრინციპების მიხედვით, რომელიც გულისხმობს შენობის სრულ ადაპტაციას შშმ და სსსმ პირების საჭიროებების მიხედვით.

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა

267. საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა შედგება სამი საფეხურისაგან: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა. ამასთან, სამედიცინო და სტომატოლოგიური განათლება ერთსაფეხურიანია და სწავლის შედეგებით უთანაბრდება მაგისტრატურას.

268. უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურზე მიღება ხორციელდება სახელმწიფოს მიერ ადმინისტრირებული ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქე და უცხო ქვეყანაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეების ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად.

269. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული სტუდენტები დაფინანსებას გამოცდებზე მიღებული შეფასების მიხედვით იღებენ.

270. სახელმწიფო სრულად აფინანსებს პრიორიტეტულ საბაკალავრო პროგრამებს სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

271. მოქმედებს სოციალური პროგრამა ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა დაფინანსების მიზნით. პროგრამის ფარგლებში უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე ფინანსდებიან: მაღალმთიანი და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონში მცხოვრები, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა შვილები, სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებულთა შთამომავლები, უდედმამო, მრავალშვილიანი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ოკუპირებული ტერიტორიების საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრები, სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი და სოციალურად დაუცველი სტუდენტები.

272. მოქმედებს სოციალური პროგრამა მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა დაფინანსების მიზნით. პროგრამის ფარგლებში უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე დაფინანსდებიან სხვადასხვა კატეგორიის სტუდენტები.

273. მოქმედებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების პროგრამა, რომლის მიზანია დაზარალებული სტუდენტების დახმარება უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით.

274. 2015 წელს პირველად შემუშავდა ახალი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს აფხაზეთში მცხოვრები სტუდენტების დამატებით ხელშეწყობას. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N367 დადგენილების

საფუძველზე დაფინანსდა 3 სტუდენტი, რომლებმაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების შემდეგ, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე განაგრძეს სწავლა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

275. მოქმედებს სტუდენტური ბარათების პროგრამა, რომლის მიზანია ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის სტუდენტის პირადობის (ბინადრობის) მოწმობის საფუძველზე პროგრამაში ჩაბმული საწარმოების/ორგანიზაციების მიერ პირადი მოხმარების საქონელსა და მომსახურეობის გაწევაზე შეთავაზებული ფასდაკლების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. პროგრამაში ჩართულია 130-მდე სახელმწიფო და კერძო კომპანია, რომლებიც სტუდენტებს სთავაზობენ გარკვეულ შეღავათებს საყოფაცხოვრებო და საგანმანათლებლო დანიშნულების საქონელსა და მომსახურების გაწევაზე.

276. მოქმედებს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანია უცხო ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური ქართველების ინტეგრაცია სამოქალაქო საზოგადოებაში. ყოველწლიურად პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს დაახლოებით 240 000 ლარს. პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტს მოიპოვებს უცხო ქვეყნის დაახლოებით 40 მოქალაქე, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

277. ასევე, მოქმედებს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემის სპეციალური სახელმწიფო პროგრამა. პროგრამის ფარგლებში ფინანსდებიან საერთო სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქეები. პროგრამის ბიუჯეტი ყოველწლიურად შეადგენს 45 000 ლარს. პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტს მოიპოვებს უცხო ქვეყნის 10-მდე მოქალაქე, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

278. მოქმედებს ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების პროგრამა, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის მოქალაქე და უცხო ქვეყანაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქე აბიტურიენტთა ხელშეწყობა და სტუდენტთა მობილობის განხორციელება და საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პოპულარიზაცია.

279. ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით, 2010 წლიდან ამოქმედდა ქართულ ენაში მომზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც აკრედიტებულია და რომელზე ჩარიცხვაც ხორციელდება მხოლოდ ერთი გამოცდის (მხოლოდ ზოგადი

უნარების აზერბაიჯანულენოვანი ან სომხურენოვანი ტესტები) შედეგების საფუძველზე და რომლითაც ხორციელდება ქართულ ენაში უნარ-ჩვევებისა და ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) შეძენა იმ დონეზე, რომ შემდგომში პირმა შეძლოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელება. ყოველწლიურად პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო დაფინანსებას მოიპოვებს 100 აზერბაიჯანულენოვანი და 100 სომხურენოვანი სტუდენტი. ყოველწლიურად აღნიშნული პროგრამით სარგებლობს 1000-მდე ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი.

280. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2016 წლიდან, ახორციელებს საზაფხულო ბანაკების პროგრამას, რომლის მიზანს მოსწავლეთა სოციალური ინტეგრაცია, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობა, ფიზიკურად ძლიერი და სულიერად ჯანსაღი თაობის აღზრდა წარმოადგენს. 2017 წელს, პირველად, ბანაკებში გაემგზავრნენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები. მათ შორის, სმენადაქვეითებული და ეტლით მოსარგებლე მოსწავლეები.

281. განათლების თითოეული საფეხური ხელმისაწვდომია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის. ხარისხიანი სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება ხელმისაწვდომია როგორც სახელმწიფო, ასევე მშობლიურ ენებზე.

282. მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების ენების (სომხური და აზერბაიჯანული) სწავლებას საქართველოში უწყვეტი ტრადიცია გააჩნია. შესაბამისად, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა ადვილად ახერხებს მშობლიური ენის სწავლების პროგრამის განხორციელებას სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეებისათვის. ასევე, უზრუნველყოფილია ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე განათლების მიღების შესაძლებლობა (აზერბაიჯანული, სომხური, რუსული). საქართველოში ფუნქციონირებს 298 არაქართულენოვანი საჯარო სკოლა და 81 არაქართულენოვანი სექტორი. მათ შორის - 118 აზერბაიჯანულენოვანი, 131 სომხურენოვანი, 49 რუსულენოვანი სკოლები. ასევე ქართულ-აზერბაიჯანული სექტორი - 32, ქართულ-რუსული სექტორი - 42, ქართულ-სომხური სექტორი-10, ქართულ-აზერბაიჯანულ-რუსული სექტორი - 1, ქართულ-რუსულ-სომხური სექტორი-1, რაც წარმოადგენს მთლიანად სკოლების 14%-ს.

283. უზრუნველყოფილია ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე განათლების მიღების შესაძლებლობა - ეროვნული სასწავლო გეგმა ნათარგმნია მრავალრიცხოვანი ეროვნული უმცირესობების ენებზე (აზერბაიჯანული, სომხური, რუსული).

284. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N1255 ბრძანებით განისაზღვრა სკოლები/კლასები, სადაც დაინერგა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების შემდეგი ენების სწავლება: ოსური, ხუნძური, უდიური, ასურული, ქურთული, ჩეჩნური.

DRAFT

285. ამას გარდა, 2016 წელს, შემუშავდა განათლების ხელმისაწვდომობის ერთიანი სტრატეგიული დოკუმენტი „განათლების პოლიტიკა საზოგადოების ინტეგრაციისთვის“; ყურადღება დაეთმო არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლებას და სხვა; 2015 წლიდან მოქმედებს „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამა“.

286. ასევე აღსანიშნავია, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მხარდაჭერის პროგრამა. პროგრამის ფარგლებში ითარგმნა და დაიბეჭდა მასწავლებლის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევის I ნაწილი აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე, ითარგმნა მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე. ამ ეტაპისათვის პროგრამის ბენეფიციარია 3301 აზერბაიჯანულენოვანი, 2933 სომხურენოვანი და 1208 რუსულენოვანი პედაგოგი.

287. გარდა ამისა, ადრეული ქორწინების პრევენციისთვის მნიშვნელოვანია მშობელთათვის საინფორმაციო კამპანიის წარმოება ადრეული ქორწინების უარყოფითი შედეგებისა და რისკების შესახებ. ამ მიზნით, 2015 წლიდან განათლების სამინისტრომ დაიწყო მშობელთათვის სპეციალური პროგრამის დანერგვა, რომლის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს მშობელთათვის ადრეული ქორწინების რისკების გაცნობა სამართლებრივი და ჯანდაცვის კუთხით.

288. „მშობელთა განათლებისა და ჩართულობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში, სისტემატურად ტარდება გასვლითი ღონისძიებები საქართველოს რეგიონებში, სადაც შედარებით ხშირად ფიქსირდება ადრეული ქორწინების ფაქტები. საჯარო სკოლებში მშობლებისთვის ტარდება საჯარო შეხვედრები, სადაც განიხილება ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებული რისკები. შეხვედრებში მონაწილეობას იღებენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები, ფსიქოლოგები, ადგილობრივი სამართალდამცავი და ადგილობრივი სოც. მუშაკები.

289. 2015 წლიდან, სამინისტრო ახორციელებს პროგრამას „განათლების მეორე შანსი სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვებისთვის“, რომელიც ითვალისწინებს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების საგანმანათლებლო სივრცეში ჩართვას/დაბრუნებას. პროგრამის ფარგლებში, ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვებისთვის სპეციალურად, ფუნქციონირებს დღის ცენტრები, სადაც ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან აკადემიური და რესოციალიზაციისთვის საჭირო სხვა უნარ-ჩვევებით.

DRAFT

290. ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო ქმნის ზოგადი განათლების სისტემას და სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს.[13]

291. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში საფასურის გადახდა მშობლებს უწევთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არჩევანს გააკეთებენ კერძო და არა საჯარო სკოლაზე.

292. ზოგადი განათლების კანონის მე-19 მუხლის თანახმად, დაუშვებელია, დაწყებით და საბაზო საფეხურებზე მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა. მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის გადაწყვეტილების მიღების უფლება მინიჭებული აქვს დისციპლინურ კომიტეტს ფარული კენჭისყრით. სკოლიდან გარიცხულ მოსწავლეს უფლება აქვს, სწავლა სხვა სკოლაში განაგრძოს.

293. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გაითვალისწინა „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის ფარგლებში მოქმედი გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 2014 წლის რეკომენდაცია, სკოლის მიტოვების სტატისტიკისა და ადრეული ქორწინების რაოდენობის ეფექტიანად აღრიცხვის მიზნით, სკოლის მოსწავლეების შესახებ არსებულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში, სკოლის მიტოვებისას, გაჩნდა შესავსები გრაფა, რომელშიც სავალდებულოა სკოლის მიტოვების მიზეზის მითითება.

294. ამასთან, კონვენციის მე-13 და მე-14 მუხლების შესრულების თაობაზე ინფორმაცია ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ მე-9 დანართში.

ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები

295. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს „საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო ქვეპროგრამას“. ქვეპროგრამის მიზანია თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე არასრულწლოვანთათვის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება და დაფინანსება, ქართულ ენაში უნარ-ჩვევებისა და ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) იმ დონეზე შესაძენად, რომელიც აუცილებელია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად;

296. მთავრობის 2015 წლის 29 იანვრის #15 დადგენილებით, განისაზღვრა თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ქართული ენის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება და ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესაძლებლობა. 2016 წლის საგაზაფხულო მიღებიდან, პროფესიული განათლების მიღების მსურველთათვის ამოქმედდა ქართული ენის შემსწავლელი ინტეგრირებული მოდული, რომელიც ამ ეტაპზე ეთნიკური უმცირესობებისთვის არის ხელმისაწვდომი.

[13] კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 9.

297. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 3 თებერვლის No.2-5 დადგენილებით, მოხდა საქართველოს მოქალაქეების მსგავსად თავშესაფრის მაძიებლის, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა სკოლამდელი ასაკის შვილებისთვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მუხლი 15 - კულტურა, მეცნიერება და ინტელექტუალური საკუთრება

მონაწილეობა/ხელმისაწვდომობა

298. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ 2016 წელს შეიქმნა კულტურის სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც 1 ივნისს დამტკიცდა საქართველოს მთავრობის N303 დადგენილებით. კულტურაზე წვდომა და კულტურული მრავალფეროვნება არის სტრატეგიის ერთერთი მიმართულება, რომელიც მიზნად ისახავს კულტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას საზოგადოების ყველა წევრისთვის, ამასთანავე კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვას.

299. სტრატეგიის შემუშავების პროცესი ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელდა და ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურად იქნა შეფასებული ევროპის საბჭოსა და ევროპის კავშირის მიერ.

300. სტრატეგიის შემუშავების პროცესში შეხვედრები ორ ეტაპად გაიმართა ქვეყნის 9 რეგიონში. პირველი ეტაპის ფარგლებში აღნიშნულ შეხვედრებში მონაწილეობა ჯამში მიიღო 1128 ადამიანმა, ხოლო მეორე ეტაპზე 1225-მა ადამიანმა. სამუშაო პროცესი ასევე გაიმართა მთავრობის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. დამტკიცდა კულტურის სტრატეგიის განხორციელების 2017-2018 წლების უწყებათაშორისი სამოქმედო გეგმა და კულტურის სტრატეგიის განხორციელების 2017-2018 წლების შიდაუწყებრივი სამოქმედო გეგმა.

301. პირველად, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ისტორიაში, შემუშავდა სტრატეგიული დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები:

302. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობისა და ფასეულობების დაცვა/პოპულარიზაციის სამოქმედო გეგმა;

303. საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის და ქვეყანაში არსებული ე.წ. „ზიარი“ კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და მოვლა-პატრონობის სამოქმედო გეგმა;

304. საგანგებო სიტუაციების დროს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ობიექტების დაცვისა და საგანგებო მართვის სამოქმედო გეგმა;

305. დამტკიცდა „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების შტაბის საქმიანობის წესი“.

306. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ კულტურასა და შემოქმედებით ცხოვრებაში შშმ პირთა თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს

DRAFT

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ 2017 წელს შეიმუშავა და დაამტკიცა „კულტურულ და შემოქმედებით ცხოვრებაში შშმ პირთა თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფის გზამკვლევი“. დოკუმენტში ასახულია ის გამოწვევები, რომლებიც შშმ პირთათვის კულტურის ხელმისაწვდომობის კუთხით არსებობს. ასევე დამტკიცდა 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა, იმ აქტივობათა ჩამონათვალით, რომელთა განხორციელებასაც სამინისტრო შესაბამის უწყებებთან (შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და ა.შ.) თანამშრომლობით გეგმავს.

307. კულტურის სტრატეგიით გათვალისწინებულია სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისათვის კულტურულ ინსტიტუტებზე და აქტივობებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, საშეღავათო პირობების შემოღება. საშეღავათო სისტემები ამ ეტაპზე უკვე მოქმედებს სახელმწიფო მუზეუმებში, თეატრებსა და სხვადასხვა, როგორც საგანმანათლებლო, ისე კულტურულ ღონისძიებებზე.

308. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ ხორციელდება კულტურის სფეროს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის უპრეცედენტო პროექტები. ნაწილობრივი ან სრული რეაბილიტაცია უტარდება ისტორიულ შენობა-ნაგებობებს და ასევე, სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების შენობებს, პროცესში გათვალისწინებულია ამ შენობების მაქსიმალური ადაპტაცია. კულტურული დაწესებულებების მოწესრიგებული ინფრასტუქტურა მნიშვნელოვანად ზრდის საზოგადოების ხელმისაწვდომობას კულტურულ ინსტიტუციებზე.

309. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობის, დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიებისა და ბიზნეს სექტორთან მჭიდრო ურთიერთობის, კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის პროცესში საზოგადოების მეტად ჩართვის მიზნით, შექმნა კლუბი - ,,ემეგობრე მემკვიდრეობას“. კლუბის მიზანია თანადაფინანსება გაუწიოს სახელმწიფოს მიერ შერჩეული პრიორიტეტული პროექტების განხორციელებას და ამ პროცესებში საზოგადოების ფართო მასების ჩართულობას.

310. ფართო საზოგადოებისათვის კულტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ხორციელდება წიგნის, ლიტერატურის, თეატრალური, საბავშვო და სტუდენტური ყოველწლიური ტრადიციული საერთაშორისო ფესტივალები, ვიზუალური ხელოვნების მიმართულებით საერთაშორისო ფორუმები, სიმპოზიუმები, ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალები, ტრადიციული რეწვის ნიმუშების გამოფენები და სხვა, რითაც ხელი შეეწყო მნიშვნელოვან ღონისძიებებში ხელოვანების მონაწილეობას, როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

311. აქტიურ ფაზაშია მზადება 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე, საქართველოს საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსით წარსადგენად.

312. მნიშვნელოვანია, ქვეყანაში მიმდინარე კულტურულ პროცესებში, ადმინისტრაციული საზღვრის გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე რეგიონების მოსახლეობის ჩართვა. ამ მიზნით, ხორციელდება რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, მათ შორის, „კულტურა საზღვრებს გარეშე", „სკვერები, ბიბლიოთეკები" და სხვა.

313. 2017 წლიდან ადგილობრივ თვითმმართველობებში დაიწყო, ადგილობრივ დონეზე, კულტურის სფეროში რეგიონული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების დამტკიცება, ამ პროცესში მიმდინარეობს სამინისტროსთან აქტიური კონსულტაციები და სამინისტრო დახმარებას უწევს ადგილობრივ თვითმმართველობებს.

მრავალფეროვნება

314. ეთნიკური უმცირესობების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად პრინციპს წარმოადგენს მათი როლის გაზრდა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში, ეროვნული უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობისა და ტრადიციების შენარჩუნება და განვითარება, კულტურათაშორისი ურთიერთობების გააქტიურება. ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა ხორციელდება სამინისტროს დაქვემდებარებული ეთნიკური უმცირესობების ორგანიზაციების მეშვეობით (3 თეატრი, 3 მუზეუმი) და ასევე სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული პროექტების მეშვეობით.

315. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ, ასევე ხორციელდება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის, შენარჩუნების, რეაბილიტაციისა და დაცვის ღონისძიებები, რომლებიც მის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ნებისმიერ ძეგლს თანაბრად ეხება და სახელმწიფოს ინტერესია ნებისმიერ ასეთ ძეგლზე ზრუნვა.

316. კულტურული მემკვიდრეობის ინსტიტუციები აქტიურად მუშაობენ, რათა მაქსიმალურად იქნას შესწავლილი მოსახლეობის ყველა ფენა, სეგმენტი, რომლებიც დაინტერესებულნი არიან კულტურით. ტარდება მრავალფეროვანი ღონისძიებები-გამოფენები, გამოფენების თანმდევი საჯარო ლექციების ციკლები, საგანმანათლებლო პროგრამები და სამეცნიერო კონფერენციები, რომლებიც მრავალმხრივად წარმოაჩენს საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას.

317. გაზრდილია ინტერნეტსივრცის შესაძლებლობების გამოყენება კულტურულ მემკვიდრეობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. სოციალური ქსელების საშუალებით ხდება მიმდინარე აქტივობების/ღონისძიებების დაანონსება და პიარი. ამასთან, მუზეუმში ინერგება ახალი ტექნოლოგიებიც, კერძოდ, კეთდება აუდიო გიდი, რომელიც იძლევა მუზეუმის შესახებ ინფორმაციის ჩამოტვირთვისა და გაცნობის საშუალებას.

318. შემუშავდა „საქართველოს მუზეუმების კოლექციების საინფორმაციო სისტემა- www.egmc.gov.ge'' - საქართველოს სამუზეუმო ფასეულობათა

ელექტრონული აღრიცხვის ერთიანი ცენტრალიზებული სისტემა, რომელიც ამ დროისთვის 6 სსიპ მუზეუმშია დანერგილი.

319. ქვეყნის მასშტაბით კულტურულ დაწესებულებებში (მუზეუმები, გალერეები, თეატრები) დაცული კოლექციების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე აქცენტი კეთდება მულტიკულტურულობაზე.

განათლება/მეცნიერება

320. რაც შეეხება სახელოვნებო განათლებას, სამინისტრო ამ მხრივ ხელმისაწვდომ და ხარისხიან განათლებას უზრუნველყოფს: 4 უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების მეშვეობით, რომლებიც ასევე ახორციელებენ პროფესიულ სახელოვნებო პროგრამებს; 8 სკოლისგარეშე სახელოვნებო სკოლის და 2 სახელოვნებო კოლეჯის მეშვეობით. სამინისტროს ასევე გათვალისწინებული აქვს ბიუჯეტი საზღვარგარეთ კულტურის სფეროში კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, რომლის ფარგლებშიც ახორციელებს საერთაშორისო მასტერკლასებში, ვორქშოფებში, კონკურსებში, ფესტივალებში, კონფერენციებში მოსწავლეთა და სტუდენტთა მონაწილეობის ხელშეწყობას როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ (2017 წლის იანვრიდან დაფინანსებულია 180 ახალგაზრდა).

321. დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში მიმდინარეობს 12 სახელოვნებო სკოლის ფუნქციონირების ხელშეწყობა. ამ სკოლებში ყოველწლიურად დასაქმებულია 69 პედაგოგი და სწავლობს 700-მდე მოსწავლე; სკოლებში ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები: თექა, კერამიკა, ხატვა, ქსოვა, ხალხური საკრავები და სხვა.

322. სახელოვნებო უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულებებებისათვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია სამეცნიერო-კვლევითი მიმართულება. კვლევითი პროექტები მიზნად ისახავს მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას, რომლის ფარგლებში, ახალგაზრდა სპეციალისტებსა და მათ პედაგოგებს შესაძლებლობა ეძლევათ აიმაღლონ პროფესიული კვალიფიკაცია, დაამყარონ სამეცნიერო კონტაქტები ქვეყნის შიგნით და გარეთ, შეიძინონ გამოცდილება საქართველოსა და უცხოეთის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში. სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფუნქციონირებს მედიახელოვნების ფაკულტეტთან არსებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - ვიზუალური კომუნიკაციის და მედიახელოვნების ინსტიტუტი და რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტთან არსებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი -კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. სამხატვრო აკადემია ჩართულია Erasmus-ის პროგრამაში და აქტიურ საერთაშორისო თანამშრომლობას ეწევა.

323. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია ერთადერთი დაწესებულებაა საქართველოში, რომელიც სამეცნიერო-კვლევით მუშაობას მუსიკის ყველა მიმართულებით ახორციელებს. მათი კვლევები ხორციელდება როგორც კონსერვატორიის, ისე სხვადასხვა

ფონდის (მათ შორის, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის) გრანტების ფარგლებში.

324. მეცნიერულ პროგრესზე ხელმისაწვდომობის კუთხით ლექციათა ციკლის ფარგლებში იმართება საჯარო ლექციები, რომელშიც ჩართულები არიან არა მარტო ქართველი მეცნიერები, არამედ უცხოელებიც. ყოველწლიურად ეწყობა სამეცნიერო კონფერენციები. მნიშვნელოვანია კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ურთიერთთანამშრომლობა, მემორანდუმების გაფორმება სკოლებთან, უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო ცენტრებთან. ინსტიტუციების ნაწილს აქვს ფართო საერთაშორისო კონტაქტები მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან და მუზეუმებთან. ისინი ერთობლივად ახორციელებენ სამეცნიერო კონფერენციების, საჯარო ლექციების, სპეციალური ტურებისა თუ საერთაშორისო მცირემასშტაბიანი გამოფენების მეშვეობით.

შემოქმედთა ინტერესების დაცვა

325. შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობის კუთხით, იმის გარდა, რომ კონსტიტუციით აღიარებულია შემოქმედებითი საქმიანობის თავისუფლება, სახელმწიფომ ბოლო პერიოდში დაიწყო კონკრეტული მექანიზმების შექმნა, შემოქმედებითი საქმიანობის წახალისების მიზნით.

326. კულტურის სტრატეგიის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით, შემოქმედებითი ინდუსტრიებისა და კულტურის სფეროში მეწარმეობის განვითარების მიზნით, 2016 წელს შემუშავდა შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების გზამკვლევი და გაიმართა საერთაშორისო დონის ფორუმი შემოქმედებითი ინდუსტრიების შესახებ. ღონისძიების ფარგლებში, 6 ქვეყნის მიერ მიღებულ იქნა „აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების თბილისის მანიფესტი“, შეიქმნა „საქართველოში შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების გზამკვლევი“.

327. 2017 წლის იანვარში კი საქართველოს მთავრობის მიერ დაფუძნდა სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“, რომლის მიზანია ქვეყნის მაშტაბით შემოქმედებითი ინდუსტრიების ხელშეწყობა, შემოქმედებითი საწარმოების ინსტიტუციონალური განვითარება; ადგილობრივი შემოქმედებითი ნაწარმის ექსპორტის ხელშეწყობა. სსიპ-ს საქმიანობის კოორდინაციის, შედეგების პროდუქტიულობის გაზრდისთვის, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია და სამუშაო ჯგუფი, საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტთა საბჭოები. სსიპ-მა შეიმუშავა სხვადასხვა პროგრამა შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების მიმართულებით. ცნობიერების ამაღლების მიმართულებით გაიმართა რეგიონული საინფორმაციო ტური, შეხვედრები, კონსულტაციები, შემოქმედებითი ინდუსტრიების წარმომადგენლებთან. შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით, განხორციელდა სტუდენტური სემინარი ურბან ლაბი. ორგანიზაციის მუშაობის პრინციპია მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური ეფექტიანობის მიღწევა და სხვადასხვა ორგანიზაციის საქმიანობის კოორდინაცია საერთო შედეგის პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით.

საავტორო უფლებები

328. შემოქმედთა მორალური და მატერიალური ინტერესების ეფექტური დაცვის კუთხით ბოლო წლებში გაუმჯობესდა საავტორო უფლებების დაცვის კანონმდებლობა და პრაქტიკა საავტორო უფლებების თვალსაზრისით.

329. საავტორო უფლებების დაცვისათვის „საქართველოს კულტურის სტრატეგია 2025“-ში არაერთი ამოცანაა განსაზღვრული მე-6 სტრატეგიულ მიმართულებაში „შემოქმედებითი ინდუსტრიები“, რომლის 6.2. მიზანიც მთლიანად აღნიშნულ საკითხს ეთმობა.

330. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიის დოკუმენტში განსაზღვრული ამოცანების შესაბამისად, 2017-2018 წლების უწყებათაშორის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული აქტივობა მიზნად ისახავს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მეშვეობით ფალსიფიცირებული პროდუქციის (მათ შორის, კულტურული პროდუქციის) რეალიზების ფაქტების აღმოჩენას და საქართველოს შესაბამის უწყებებთან ერთად რეაგირებას (აქტივობის განმახორციელებელია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო).

სამართლებრივი გარემო

331. დაიხვეწა კულტურასა და ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობა. შემუშავდა საქართველოს კანონი „პროფესიული თეატრების შესახებ“; ცვლილებები შევიდა „ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონში, რაც გულისხმობდა სახელმწიფოს მხრიდან მიღებული ფინანსური მხარდაჭერის საგადასახადო რეგულაციების შემსუბუქებას; შემუშავდა სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა კინოინდუსტრიისათვის, რაც გულისხმობს ნაღდი ფულის უკან დაბრუნების სისტემის - Cash Rebate შემოღებას; „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად, სამინისტროს სსიპ-ებმა, მმართველობის კუთხით, მიიღეს მეტი მოქნილობა, შეღავათი და გამოუთავისუფლდათ დამატებითი ფულადი რესურსი. შემუშავებული და ინიცირებულია „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რის მიხედვითაც, სახელმწიფო ჯილდოების სახით ხელოვნებასა და ლიტერატურაში განისაზღვრა შოთა რუსთაველისა და ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიები და მათი ფულადი ოდენობები, რაც ხელოვანთა წახალისებისა და მათი ღვაწლის აღიარების მექანიზმის საკანონმდებლო დონეზე შექმნას გულისხმობს. მიმდინარეობს მუშაობა „კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის კოდექსის“ პროექტზე.

საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება

332. „კულტურის სტრატეგია 2025“-ის მე-7 სტრატეგიული მიმართულება მთლიანად ეთმობა კულტურის ინტერნაციონალიზაციას. მიმართულების მოსალოდნელი შედეგი საქართველოს განსაზღვრავს, როგორც საერთაშორისო კულტურული პროცესების აქტიურ მონაწილეს, რომელიც მსოფლიოსთვის მიმზიდველია თავისი კულტურული მემკვიდრეობით, აქტიური კულტურული ცხოვრებითა და შემოქმედებით.

333. შედეგის მისაღწევად განსაზღვრული ამოცანები ითვალისწინებს: კულტურის სექტორში არსებული კანონმდებლობის რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ჰარმონიზაციას, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების უზრუნველყოფას; საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას; საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას შემოქმედებითი ინდუსტრიების საერთაშორისო ონლაინ პლატფორმებში ჩართვის და პროდუქციის ექსპორტის, ასევე, საერთაშორისო ონლაინ პლატფორმების საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით და შემოქმედებითი ინდუსტრიების მხარდაჭერას საერთაშორისო პროგრამებით (მაგ: „შემოქმედებითი ევროპა“, “ევრიმაჟი“, “აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამა“, „იუნესკოს შემოქმედებითი ქალაქების კავშირი“ და სხვ.) თანადაფინანსების შესაძლებლობის შექმნასა და თანაწარმოების განვითარებაში.

334. აღსანიშნავია, საერთაშორისო დაფინანსების უპრეცედენტო ზრდა. პროგრამა „შემოქმედებითი ევროპის“ ფარგლებში, წარმატება მოიპოვა 9 პროექტმა, ჯამში 277 823 ევროს ფარგლებში.

335. ასევე ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ექსპერტის, იულია პოპოვიჩის მიერ მომზადდა კვლევა საქართველოში საშემსრულებლო ხელოვნების შესახებ (Report on Developing Performing Arts Sector in Georgia), რომელიც მნიშვნელოვანი საფუძველი უნდა გახდეს პროექტების ხელშეწყობის ევროპული მოდელის დანერგვისათვის.

336. 2008 წლიდან პირველად მომზადდა ეროვნული ანგარიში (2012-2015 წწ) იუნესკოს „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ კონვენციის“ (2005წ, პარიზი) შესრულების შესახებ;

337. კულტურა და შემოქმედებითი ინდუსტრიები ინტეგრირებულია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების საქართველოს დოკუმენტში.

338. გარდა ამისა, სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-15 მუხლის შესრულების თაობაზე ვრცელი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ დანართი 10-ში.

DRAFT